პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
კვირა
16
თებერვალი
№ 40
(16166)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ДИДЕБА ЗРОМАС!

ЗРОМІС ЗРОНСТЗЕ, АХАЛГАЗРДЕБО!

ლაბეოთა ახალგაზრდობას ქვეყნის ხიჭაბუკეს უწოდებენ, ხოლო მის ავანგარდს კომკავშირს — პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს. ჩვენს ახალგაზრდებს წილად ხვდათ ბედნიერება იყვნენ იმ დიად საქმეთა შემკვდრენი და გამგრძელებელნი, რომლებიც მათ წინა თაობებისაგან ესტაფეტით გადმოეცათ.

კომკავშირის მთელი ისტორია — ეს არის გზა ცხოვრების მწვერვალებისაკენ და იგი განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიის ცხოვრებასთან, ვ. ი. ლენინის სახელთან, მის ანდერძთან.

ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მატიანე გამდიდრა საქართველოს კომკავშირმაც — სრულიად საკავშირო ალკგრთ-ერთმა ყველაზე ძველმა და მოწინავე რაზმმა. იგი ამრავლებს უფროსი თაობის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ყოველ დიდსა თუ მცირე საქმეში. რაზედან ენერგიას, ცოდნას, სწრაფას ავლინებენ ახალგაზრდები საწარმოებსა თუ საზოგადოებრივ მეურნეობებში, სასკოლო მერხებთან, სტუდენტურ აუდიტორიებში თუ სამეცნიერო ლაბორატორიებში! ცხოვრების ფუღლილში იბადება ბევრი ახალი თაოსნობა, რომელიც ფრთებს ისხამს და ძალებს ბერებს.

რესპუბლიკის კომკავშირი წყვეტს ჩვენი ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბების საკითხს. სწორედ აქეთკენ მმართავს იგი თავისი იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის მთელ არსენალს, თვალსაჩინოვით უფრთხილდება და ავითარებს ინტერნაციონალური ტრადიციებს.

უკანასკნელი ორი წელი საქართველოს კომკავშირისათვის დაძაბული შრომისა და შემოქმედებითი ძიების პერიოდი იყო. კომკავშირელები, ახალგაზრდები ცხოვრობდნენ რესპუბლიკის სისხლსავსე ცხოვრებით. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ დიდსა და მრავალმხრივ ბრძოლაში, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიული ორგანიზაციები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში არსებულ ხერიოზულ ნაკლოვანებათა დასაძლევად, ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, მორალური კლიმატის გასაუმჯობესებლად.

ამ თანმიმდევრულმა, დაუცხრომელმა ბრძოლამ კი თვითეულ მშრომელს განუმტკიცა რწმენა, აუმაღლა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, გამოაცოცხლა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა უბანი, რასაც შედეგად მოჰყვა მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი და განმსაზღვრელი წლების წარმატებები.

საქართველოს მშრომელთა გული კიდევ ერთხელ გაახარა სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა ამის თაობაზე, რომ 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ზვიდ მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენმა რესპუბლიკამ გაიმარჯვა და გარდამავალი წითელი დროშები დაიმსახურა.

ამ წარმატებებში დიდია წვლილი რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდებისა, რომლებიც ენერგიულად შრომობენ ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში შემობრუნების პუნქტი გახდა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება, ყველა რაიონსა და ქალაქში მოწყობილი ასეთივე კრებები და პლენუმები.

როგორც ცნობილია, კომკავშირის ძალა პარტიული ხელმძღვანელობაა. საქართველოს კომკავშირიც მუდმივად გრძნობს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების დახმარებას, ყურადღებას, რჩევასა და დირიგებას.

მიმდინარე ეტაპზე კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირეული გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ამ ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას და მის მთელ რიგ გამოსვლებს, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს. ერთი სიტყვით, როგორც ეს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღინიშნა, ახლა ჩვენს ხელთ არის კომკავშირული მუშაობისა და კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ჭეშმარიტად მეცნიერული ენციკლოპედია.

როცა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ მოპოვებულ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ ამ ხერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით მათს მოღვაწეობაში. როგორც მიღწეულებზე, ისე არსებულ ნაკლოვანებებზე ყოველმხრივ, მთელი პრინციპულობით იყო საუბარი საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართულ პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხი „კონტროლის ხასტემის, შესრულების შემოწმების შემდგომი სრულყოფის საქმეში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებისა და კომკავშირელებისა და ახალგაზრდების აქტივობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება, ყოველი კომკავშირელისა და ახალგაზრდის პერსონალური პასუხისმგებლობის, მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნების, თვითდისციპლინისა და თვითკრიტიკის ამაღლება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, კონკრეტული, ეფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული მოქმედება — აი ის ამოცანები, რომლებზეც უყურადღება გაამახვილა ამ პლენუმმა და რომელიც რესპუბლიკის კომკავშირს წინაშე მდგომ ყველა საჭირბოროტო საკითხზე ადრე დწყებული ფართო მსჯელობის თავსაბერი, ლოგიკური გაგრძელებაა.

როგორც პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ მთელი თავიანთი მოქმედება გარდაქმნან ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. ეს დაადასტურა, კერძოდ, სრულიად საკავშირო კომკავშირულმა კრებამ, რომელმაც ჩაიარა დევიზით: „სამშობლოს, პარტიას — დამკვრელური შრომა, მუშაობის მაღალი ხარისხი, ნოვატორული სწავლა“. აღსანიშნავია, რომ ამ კრებაში ფაქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის ყველა — 540 ათასი კომკავშირელი და 360 ათასი ახალგაზრდა. სრულიად საკავშირო კომკავშირული კრება გადაიქცა კონკრეტული თაოსნობებისა და წინადადებების ტრიბუნად.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა მიიღო დადგენილება ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და საერთოდ ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის 1975 წელს რესპუბლიკის კომკავშირელების, ქალაშვილებისა და ჭაბუკების ახალგაზრდული ლაშქრობის გამოცხადების შესახებ. **საქართველოს კომკავშირი თავის თავს აცხადებს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დამკვრელურ რაზმად ყველაზე, სადაც კი წყდება მეცხრე ხუთწლედის გეგმა.**

საქართველო ახალი ბიჯებს დალაშქვრას შეუდგა. ნაკლებია ახალი სოციალისტური ვალდებულებები 1975 წლისათვის. ამოცანა ის არის, რომ ერთსულოვნად დავირაზმოთ ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის. ეს კეთილშობილური საქმე თვითეული კომუნისტის, თვითეული კომკავშირელის, ყველა მშრომელის ღრმა შინაგანი, პირადი მოთხოვნილება უნდა გახდეს.

კომკავშირული ორგანიზაციები მუდმივად უნდა ინტრაფოდნენ განავითარონ ახალგაზრდობის პასუხისმგებლობის გრძნობა, დაეხმარონ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, არ ჩაბორნენ დროის მოთხოვნებს, იბრძოლონ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში, სრულად გამოავლინონ თავიანთი მჭეფარე ენერგია, შესაძლებლობა და ენთუზიაზმი. ეს მოთხოვნა უნარიანად შეავსებოთ ახალგაზრდობასთან მუშაობის კოლექტიური და ინდივიდუალური ფორმები.

კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლა, რომელიც სულ მალე, 1 მარტიდან დაიწყება, ხელს შეუწყობს პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფაზე, კომკავშირელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის განვითარებას, მისი დონის ამაღლებას.

ავიუანათ კონტროლის სისტემა და შესრულების შემოწმება პარტიის მოთხოვნათა დონეზე, სრულყოთ კომკავშირში ორგანიზატორული მუშაობა, ვიბრძოლოთ სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის, თვითეულის მაღალი პერსონალური პასუხისმგებლობისათვის, გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოთ სოციალისტური ცხოვრების ანტიპოდებს!

ყველანი ხუთწლედის შრომითს ვიბეტზე, ყველაფერი შრომითი გამარჯვებებისათვის, კომკავშირელებო და ახალგაზრდებო!

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

ყოველი საბუშაო დღე, საათი — დამკვრელური!

გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

დიადი ჯილდო, დიდი კომეცანები

ვნობას, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მოპოვებისათვის დაჯილდოებულია გარდამავალი წითელი დროშით, ჩვენი მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

ბანაბრძოლთ რედაქციაში მიღებული გულთბილი მილოცვების ბეჭდვას.

სულით და გულით მივესალმები

დიდად სასიხარულოა და საამაყო, რომ ჩვენი რესპუბლიკა სრულიად დამსახურებულად აღმოჩნდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებში გაბარჯვებულთა შორის. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველ ხალხს აღბათ ისე არასოდეს არ სჭირდებოდა თავისი შრომისმოყვარეობისა და მკლავმოუღლელობის გამოჩენა, როგორც ახლა, დღეს.

რა დასამალავია და, გარკვეულ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ფეხმოკიდებულ მანკიერებათა შედეგად საკმაოდ გაუტყდა სახელი ქართველი კაცის შრომას, იმ დიდსა და ალალ ფვლილს, რომელიც მას შეჰქონდა მთელი საბჭოთა ხალხის საერთო გამარჯვებაში.

ახლა კი, როცა ჩვენს რესპუბლიკაში ჯანსაღი შემოქმედებითი შრომის ატმოსფერო სუფევს, სავსებით ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ის ნაბდვილი შედეგი ჩვენი ხალხის გმირული შრომისა და შემართებისა, რომლითაც იგი იპყრობს და კვლავაც უნდა დაიპყროს ახალ-ახალი მწვერვალები სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში.

სულითა და გულით მივისალმებით ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანების, მთელი ჩვენი ხალხის ამ თავდადებული შრომის ესოდენ სასახელოდ დაგვირგვინებას და გვჯერა, რომ ჩვენი მშობლიური რესპუბლიკა, რომელიც კვლავ იბრუნებს თავის ღირსეულ ადგილს მოწინავეთა შორის, ახალ-ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს მეცხრე ხუთწლედის დიადი პროგრამის ხორცშესხმისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

გრიგოლ აბაშიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ДАЗ ЗОГАВАЗ

აფხაზეთის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1974 წლის შედეგების მიხედვით გამარჯვებულთა შორის არის საქართველოს სს რესპუბლიკა.

საქართველოს ამ დიდ გამარჯვებაში მისი განუყოფელი ნაწილის — აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმაც მიიღეს წვლილი. აფხაზეთის მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა მეცხრე ხუთწლედის განვლილ მანძილზე ხერიოზულ გარდაქმნებს მიაღწიეს. კიდევ უფრო განმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, საგრძნობლად გადიდდა ძირითადი კულტურების — ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების, ეთერზეთების მოსავლიანობა.

აფხაზეთის მეჩაიეებმა 1974 წლის თითქმის 60 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იცვალა სახე საკოლმეურნეო სოფლებმა, გაუჯობესდა მშრომელთა ყოფა-ცხოვრება.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად აფხაზეთის მშრომელებმა 1975 წლისათვის ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს. ისინი ძალასა და ენერგიას არ დაზოგავენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე, პირნათლად განსაზღვრულად, პარტიის ყველა წინასწარდასახულობის განსახორციელებლად.

ბაბრაგ შინკუბა,
აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აფხაზეთის სახალხო პოეტი.

ДАЗ ЗОГАВАЗ

ბაკურიანი. ზვიდი ახალი მოდელის ნაწარმის გამოშვებას დაიწყებს მიმდინარე წელს თბილისის ტყავსაბალანტბრიო ფაბრიკაში. ტყავგალანტერიის ოსტატები დამკვრელურად შრომობენ, ყოველდღიური დავალებები გადაჭარბებით სრულდება.

— პროდუქციის გამოშვების გრაფიკს ვიცავთ, — თქვა საწარმოს დირექტორმა კ. ჯოხარიძემ. — იანვარში გამოშვებულია ნახევარ მილიონამდე მანეთის ღირებულების ნაწარმი. საამქროებსა და უბნებს შორის გაიშალა შეჯიბრება ფაშაზზე გამარჯვების 30 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, შეჯიბრების ბეჭრმა მონაწილემ გადაწყვიტა ნახევარი წლის დავალება 9 მაისისათვის შესრულოს, ჯერ-ჯერობით შეჯიბრებას ლიდერობენ № 1 და № 2 საამქროები, რომლებსაც ო. ბაკურაძე და თ. კინიბარიშვილი ხელმძღვანელობენ. უბნებს შორის პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებიან № 1 საამქროს სამეზავრო ჩანთების და ბავშვის ხელჩანთების უბნები.

ტყავ-გალანტერიის ოსტატები ხუთწლედის ბოლო წელს მომზმარებელს 4 მილიონ 980 ათასი მანეთის პროდუქციის მიაწვდიან.

(სპპ. ბრ.).

დაწინაურდნენ ფეიქრები

ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის შრომითმა კოლექტივმა თავისი არსებობის მანძილზე შარშან პირველად შესახრელა როგორც საველმწიფო გეგმა, ისე სოციალისტური ვალდებულება.

ფეიქრებმა წარმატებით დაიწყეს ახალი წელიც. იანვარში პროდუქციის რეალიზაციის დავალება შესრულებულია 121,8 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 111,2 პროცენტით.

„მივცეთ სამშობლოს მეტი ხარისხიანი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით“ — ამ დევიზით შრომობს ახლა ფაბრიკის ახალგაზრდული კოლექტივი.

რ. სუხიაშვილი,
რაიონული გაზეთის „გამარჯვების გზის“ რედაქტორის მოადგილე.

ВАДАМДЕ ШЕВАСРУЛЕБИ

თბილისი. (საკ. კორ.). შარშან საოქტომბრო დღესასწაულის დღეებში თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის ეზოში მოვიდა კვების პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანა. ეს პროდუქტები მანქანათმშენებლებს შედავათიან ფასად გამოუვაზავნა მათმა საშეფო ორგანიზაციამ — საგარეჯოს მანავის საბჭოთა მეურნეობამ. მანაველებმა ეს იმ დიდი დახმარების საფასურად გააკეთეს, რომელსაც მათ მანქანათმშენებლები ყოველწლიურად უწევენ.

— შარშან, მაგალითად, საწარმომ საბჭოთა მეურნეობას 4 ათასამდე მანეთის ღირებულების დახმარება გაუწია, ხელშეკრულება კი მხოლოდ 3 ათასი მანეთის ღირებულების დახმარებას ითვალისწინებდა, — თქვა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ჯ. კვაჭანტირაძემ, — კერძოდ, შევაკეთეთ ოთხი ელექტროძრავი, ერთი სახარატო დაზგა, სამჭედლო სახელოსნოს მოვუმზადეთ ორი მჭედელი, შევაკეთეთ ღვინის ქარხნის მოწყობილობა.

წლეულს საშეფო დახმარების ღონისძიებათა წინასწარი გეგმა კვლავ სამი ათას მანეთს ითვალისწინებს, ბევრმა მონაწილემ გადაწყვიტა ნახევარი წლის დავალება 9 მაისისათვის შესრულოს, ჯერ-ჯერობით შეჯიბრებას ლიდერობენ № 1 და № 2 საამქროები, რომლებსაც ო. ბაკურაძე და თ. კინიბარიშვილი ხელმძღვანელობენ. უბნებს შორის პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებიან № 1 საამქროს სამეზავრო ჩანთების და ბავშვის ხელჩანთების უბნები.

ტყავ-გალანტერიის ოსტატები ხუთწლედის ბოლო წელს მომზმარებელს 4 მილიონ 980 ათასი მანეთის პროდუქციის მიაწვდიან.

(სპპ. ბრ.).

ВАДАМДЕ ШЕВАСРУЛЕБИ

ბაკურიანი. ზვიდი ახალი მოდელის ნაწარმის გამოშვებას დაიწყებს მიმდინარე წელს თბილისის ტყავსაბალანტბრიო ფაბრიკაში. ტყავგალანტერიის ოსტატები დამკვრელურად შრომობენ, ყოველდღიური დავალებები გადაჭარბებით სრულდება.

— პროდუქციის გამოშვების გრაფიკს ვიცავთ, — თქვა საწარმოს დირექტორმა კ. ჯოხარიძემ. — იანვარში გამოშვებულია ნახევარ მილიონამდე მანეთის ღირებულების ნაწარმი. საამქროებსა და უბნებს შორის გაიშალა შეჯიბრება ფაშაზზე გამარჯვების 30 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, შეჯიბრების ბეჭრმა მონაწილემ გადაწყვიტა ნახევარი წლის დავალება 9 მაისისათვის შესრულოს, ჯერ-ჯერობით შეჯიბრებას ლიდერობენ № 1 და № 2 საამქროები, რომლებსაც ო. ბაკურაძე და თ. კინიბარიშვილი ხელმძღვანელობენ. უბნებს შორის პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებიან № 1 საამქროს სამეზავრო ჩანთების და ბავშვის ხელჩანთების უბნები.

ტყავ-გალანტერიის ოსტატები ხუთწლედის ბოლო წელს მომზმარებელს 4 მილიონ 980 ათასი მანეთის პროდუქციის მიაწვდიან.

(სპპ. ბრ.).

ГЕГМІС ГАДАМЕТЕБІТ

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონებში კარგად ხარობს ტუნგის კულტურა, რომლის ნაყოფი ძვირფასი ნედლეულია მრეწველობისათვის.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით ზუგდიდის რაიონში გეგმით უნდა დავეზადებინათ 1.655 ტონა ტუნგის ნაყოფი, დაამზადეს 2.279 ტონა. ჩხოროწყუელებმა გეგმით გათვალისწინებული 1.360 ტონის ნაცვლად დაამზადეს 1.381 ტონა. სახელმწიფოსათვის ტუნგის ნაყოფის მიყიდვა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ცხაკაია, გეგეჭკორის, ხობის და ჩოხატაურის რაიონებმა.

წარმატებებს მიაღწიეს მეთამბაქოეებმაც. ლაგოდეხის რაიონში ხმელი თამბაქოს დამზადების გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით, მარნეულის — 106 პროცენტით, ბოლნისის რაიონში 105 პროცენტით, აჭარის მეთამბაქოეებმა ხმელი თამბაქოს დამზადების დავალება 138 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო აფხაზეთისამ — 101 პროცენტით.

ГАМАРДЖВЕГУЛТА ЛИМИЛИ

უჩვეულო გამოცოცხლებაა ახლა ინდუსტრიულ რუსთავში. მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა დიდი სიხარულით შეიტყო, რომ საქართველოს სსრ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა. მეტალურგთა ეს სიხარული კიდევ უფრო გაალრმავა თვით მათი საწარმოს — მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით დაჯილდოების ცნობამ.

მეფოლადეები, მებრძმედეები, მგლინავები და მილმგლინავები ახალ შრომითს ვიბეტზე დადგნენ და დიდძალი რაოდენობის თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და მილები გამოუშვეს გეგმის გადამეტებით. მარტო გუშინ მარტენის საამქროში 24 დნობა განახორციელეს, აქედან 16 ჩქაროსნული იყო.

— საქართველოს მშრომელთა შარშანდელი წარმატება, — განაცხადა ცნობილმა მეფოლადემ მიხეილ სპანდლერაშვილმა, პირდაპირი პასუხია იმ დიდ ამოცანებზე, რასაც მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა გვისახავენ კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. ქართველ მეტალურგებს ღრმად გვწამს, რომ პატიოსანი და თავდადებული შრომით გარკვეულ წვლილს შევიტანთ ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერების საქმეში.

— მიღწევები მართლაც რომ გვაქვს, — უმატებს ფოლადის დნობის ცნობილი ოსტატი ი. ქოქიაშვილი, — თუნდაც ის, რომ შარშან ქარხნის კოლექტივმა სამჯერ მოიპოვა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა, ჩვენი სახელოვანი მეტალურგების უდაოდ დიდ და შემოქმედებით შრომას მოწმობს. მაგრამ მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით. წლეულს — მეცხრე ხუთწლედის ამ დამამთავრებელ წელს კიდევ უფრო გავზრდით შრომის ტემპს. პირადად მე ჩემი ბრიგადის სახელოვნ სტაჟევის ვიძლევი წლიური გეგმის გადამეტებით 1.500 ტონა ფოლადი გამოვადნო...

ქართველმა მეტალურგებმა ერთხელ კიდევ გადახედეს თავიანთი შესაძლებლობებს და საპატიო ჯილდოს პასუხად ახალი ვალდებულება იკისრეს, რაც გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა თუჯის, ფოლადის, კოქსის, ნაგლინის და მილების გამოშვებას ითვალისწინებს.

სურათზე გამოსახული არიან ფოლადის ჩქაროსნული დნობის ოსტატები, ისინი, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა შარშანდელი წლის საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებაში და წარმატებით შეუდგა ახალი სამეურნეო წლის დავალებათა შესრულებას.

სურათზე პირველები ი. გურგენიძე და ბ. ჩემეა მოჩანან. ორივე მეშვიდე კომკავშირულ ლუმელს ემსახურება. შარშან 2.900 ტონა ფოლადი გამოადნეს გეგმის გადამეტებით. ახლა ისინი რწმენას გამოთქვამენ, რომ წლეულს უკეთეს შედეგებს მიაღწევენ. აქვე არიან მეფოლადეთა მესამე და მეორე თაობის წარმომადგენლები — მ. ლონლაძე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. მეტრეველი. ცნობილია, რომ მათ შარპან განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ლუმელების მდგრადობის გაზრდაში.

სურათზე შემდეგ გამოსახული თ. ლაბაძეც და უ. ივანიშვილიც საკმაოდ სახელმოსაგებელი მეფოლადეები არიან. მათ დიდად შეუმცირებიათ ლუმელების მოცდენა და ამის შედეგად ათას ტონაზე მეტი ფოლადი გამოუდნიათ წლიური გეგმის გადამეტებით. წერილის დასაწყისში ი. ქოქიაშვილი და მ. სპანდლერაშვილი ვახსენეთ. სურათზეც ისინი ერთი-მეორეს გვერდით დგანან. მათი ღიმილი იმის ჭეშმარიტი დადასტურებაა, რომ მზად არიან დაიცვან მშობლიური ქარხნისა და საამქროს ღირსება და, რაც შეიძლება, მეტი ფოლადი მიაწოდონ დედა-სამშობლოს. ამავე მიზნებისათვის ილვწოს ქართველ მეფოლადეთა პირველი თაობის წარმომადგენელი ა. მალანიაც.

დაგელოცოთ მარჯვენა, ფოლადის დნობის ოსტატებო, ასე სახახელო ფურცლებს რომ წერთ სამამულო მეტალურგიაში.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ვლ. გინზბურგის ფოტო.

А. А. ГРОМИКО ВЕСТДА Ж. КАЛАГАНІ

15 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს საუბარი დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამშრომლობის საქმეთა მინისტრთან ჯ. კალაგენთან.

მინისტრებმა განიხილეს მთელი რიგი საკითხები, რომელთა გამო იწარმოებს მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის ვიზიტის დროს. (საკდესი).

ДИДІ БРИТАНЕТІСА ПРЕМІЕР-МИНИСТРІ ЛЕНИНГРАДШІ ГАЕМГЗАВРА

15 თებერვალს მოსკოვიდან ლენინგრადს გეგმგზავრა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ ვილსონი.

მასთან ერთად გაეგზავნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენი, სხვა ოფიციალური პირნი.

დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ჰ. ვილსონი და მისი თანმხლები პირნი გაიცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ვ. არხიპოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა.

ჰ. ვილსონთან ერთად ლენინგრადში გეგმგზავრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. ბ. კოზირევი, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

ПРЕСЗ-КОНФЕРЕНЦІА МОСКОВШІ

მოსკოვში გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და საზღვარგარეთელი კორესპონტენტებისათვის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის, საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. კალაგენის ახლანდელ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დავალებით საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ლ. მ. ზამიატინმაკორესპონდენტებს განუცხადა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პრემიერ-მინისტრ ჰ. ვილსონთან შეხვედრას, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ უკვე ვვიდა წელი გავიდა. ეს არც თუ ისე პატარა დროა, თუ მხედველობაში მივიღებთ საერთაშორისო ასპარეზზე მოვლენათა სწრაფ განვითარებას. დაგროვდა ბევრი საკითხი, რომლებზეც საჭიროა აზრთა გაზიარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ახლანდელი მოლაპარაკების დასაწყისშივე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა წინადადება წამოაყენა ყურადღების ცენტრში ყოფილიყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაორმაგების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საკითხები, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ამ საკითხებს განსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პოლიტიკაში და მთელ მსოფლიოს აღელვებს. საზოგადოებრივი აზრი, უთუოდ, მოესალმება ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირ-ინგლისის კონსტრუქციულ დიალოგს.

ჩვენი ქვეყანა ისწრაფვის, რომ საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობა იყოს მშვიდობისა და ფართო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ურთიერთობა. საბჭოთა კავშირს ასეთი ამოცანა საკმაოდ რეალურად მიაჩნია, საბჭოთა ხელმძღვანელები და პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ სსრ კავშირისა და ინგლისს ურთიერთობა შეიძლება ნამდვილად მეგობრული გახდეს, თუ მიზანსწრაფულად განხორციელდება პოლიტიკა ამ მიმართულებით.

პრეს-კონფერენციის დროს კეთბროსის ბაზეთ „პარავდის“ კორესპონდენტმა მისცა შეკითხვა, თუ როგორ ეკიდება საბჭოთა კავშირი კვიპროსის ახლანდელ ამბებს. მას უპასუხეს, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია კვიპროსის საკითხებისადმი კარგად არის ცნობილი და საბჭოთა კავშირმა ჰ. ვილსონთან ახლანდელი მოლაპარაკების დროს კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირი განუხრელად უჭერს მხარს კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პრინციპს“. შემდეგ აღინიშნა, რომ „კვიპროსის შესახებ არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის შესაბამისი კარგი გადაწყვეტილებები და საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ამ გადაწყვეტილებათა ზუსტ განხორციელებას. იგი ცნობს აგრეთვე კვიპროსის ერთ კანონიერ მთავრობას, რომელსაც პრეზიდენტი მაკარიოსი მეთაურობს“. (საკდესი).

АХАЛІ ЗАРМАЗТЕБЕБІСАТВІС МОГВІЗЕЗДЕБА

1974 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის, რომლებიც დაჯილდოებულნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, გადაყვეთა მიმდინარე წლის შემოვდრი გეგმის დამატებით გამოუშვეს კიდევ 30 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო ხუთწლედის დავალებანი შეასრულეს 7 ნოემბრისათვის. ეს განაცხადა ფოლად-თუჯსამსხმელი ქარხნის პარტკომის მდივანმა ჯ. მანჯგალაძემ.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატმა დ. მოსეტოვმა ვალდებულება იკისრა ნახევარი წლის პირადი გეგმა შეასრულოს 9 მ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲣᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ — ᲘᲬᲧᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲡ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ — ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲛᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ — ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ 1978 Წ. ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲰᲐᲕᲐᲜᲐᲨᲘ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲩᲚᲔᲚ ᲙᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘᲡ

ᲮᲣᲜᲢᲐ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲡ

ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲘᲐᲜᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲚᲘᲛᲐ, 14 თებერვალი. (საკდესი). ჩილეს მშრომელებისა და ხალხისადმი საერთაშორისო სოლიდარობის მძლავრი მოძრაობის ზეგავლენით ხუნტა იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა პოლიტპატიმართა — სახალხო ერთიანობის ბლოკის მოღვაწეთა კიდევ ერთი ჯგუფი. განთავისუფლებულთა შორის არიან სოფლის მეურნეობის მინისტრი ს. ალიენდეს მთავრობაში, ჩილეს სოციალისტური პარტიის წევრი ხუმე ტორადიკალური პარტიის თავმჯდომარე ანსელმო სუნე, ამ პარტიის სხვა ხელმძღვანელები — სენატორი უგო მირანდა და პარლამენტის დეპუტატი კარლოს მორალესი.

ყველა ისინი ხუნტამ გუშინ გაასახლა ვენესუელაში. კარაკასში მიმავალი თვითმფრინავი, რომლითაც ისინი გაემგზავნენ, გაჩერდა ლიმის აეროპორტში.

თაშისტური დიქტატურის საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ჯერ კიდევ რჩება მრავალი ათასი ჩილელი პატრიოტი. პუტჩისტთა დილეგებში არიან ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი, სახალხო ერთიანობის სხვა ხელმძღვანელები.

ჩილეს დედაქალაქიდან მიღებული ცნობებით, საფრთხეშია კომპარტიის ხელმძღვანელების სენატორ ხორხე მონტესისა და სპინელის სამადენ კომპლექსის „ჩუკიკამატის“ ყოფილი მმართველის დავიდ სილბერმანის სიცოცხლე. რომლებიც ეროვნული სადაზვერვო სამმართველოს — ოქა

-ის გესტაპოს დილეგში ჰყავთ. მედილეგეთა სასტიკი მოპყრობის, არასაკმაო კვებისა და ელემენტარული სამედიცინო დახმარების უქონლობის შედეგად მკვეთრად გაუარესდა ჩილეს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ვეტერანი კომუნისტის ენრიკე კარბერგის ჯანმრთელობა, რომელიც ამჟამად სანტიაგოს ერთ-ერთ სამხედროში ზის.

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. 14 თებერვალი. (საკდესი). რათა ჩაახშოს წინააღმდეგობის მზარდი მოძრაობა, ჩილეს ხუნტა აძლიერებს რეპრესიებს.

აქ მიღებული ცნობებით, ამ უკანასკნელ დღეებში სანტიაგოს მუშათა უბნებში მოაწყვეს ჩხრეკა-დაპატიმრების ახალი სერია. დაპატიმრებულია დაახლოებით 600 კაცი. ამჟამად მიმდინარეობს დაპატიმრებულთა დაკითხვა წამების გამოყენებით.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲰᲐᲕᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). 1973 წლის ზაფხულში კუბის დედაქალაქ ჰავანაში გაიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალი. გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებულია XI მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც აქ დამთავრდა.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲡᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲕᲐ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ, 15 თებერვალი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მოქმედების განხილვისათვის კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელმა კომიტეტმა. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდნენ 32 ქვეყნის დელეგაციები. მათ შორის სსრ კავშირის დელეგაცია.

მოსამზადებელმა კომიტეტმა მოიწონა მომავალი კონფერენციის პროცედურის წესების პროექტი. განსაზღვრა კონფერენციაში მეთვალყურე სახელმწიფოთა მონაწილეობისა და მისი გადაწყვეტილებების მიღების წესი.

ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია გაიმართება ქენევაში 1975 წლის 5 მაისს.

ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის სავაჭრო პალატის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით საქართველოს საᲕᲐᲭᲠᲝ-სამრეწველო პალატა მიღებულია იტალია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის წევრად. რუსუელიკური პალატა არის აგრეთვე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის ასამბლეის წევრი.

ეს მოწმობს საქართველოს სსრ რესპუბლიკის დიდ წვლილს საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში. საგარეო ვაჭრობა იზრდება მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად. ახლა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას სრულიად საკავშირო საგარეო სავაჭრო გაერთიანების მეშვეობით საქმიანი კონტაქტები აქვს 70 სახელმწიფოს სხვადასხვა ფირმასა და ორგანიზაციასთან. (საქინფორმი).

ᲞᲔᲠᲣᲨᲘ:

ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ

ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘ: ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲓᲐ

- ᲛᲘᲘᲚᲔᲡ ᲪᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ
- ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲑᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ
- ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐ. პრეზიდენტ მაკარიოსის თავმჯდომარეობით აქ გაიმართა კვიპროსის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და ეროვნული საბჭოს გაერთიანებული სხდომა. მან განიხილა კუნძულზე იმასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა, რომ კვიპროსის თურქთა თემის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა კუნძულის „ჩრდილოეთ ნაწილში ეგრეთწოდებული „კვიპროსის რესპუბლიკის თურქთა ფედერაციული სახელმწიფოს“ შექმნა.

სხდომის შემდეგ პრეზიდენტმა მაკარიოსმა განაცხადა, რომ — კვიპროსელ თურქთა ხელმძღვანელობის მიერ ცალმხრივი წესით მიღებული გადაწყვეტილება კიდევ ერთი ცალკა ძირი გამოუთხარონ კვიპროსის სახელმწიფოს. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება დიდ სიძნელეს უქმნის ორი თემის — ბერძენთა და თურქთა თემების წარმომადგენლთა მოლაპარაკებას. ახლანდელ პირობებში, თქვა მან, შეუძლებელია კონსტიტუციულ მოლაპარაკების წარმოება გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით კვიპროსის მთავრობა მიმართავს უშიშრების საბჭოს. ასეთი გადაწყვეტილება მან მიიღო საბერძნეთის მთავრობასთან ერთად.

პრეზიდენტმა მაკარიოსმა განაცხადა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე გ. კლირიდისი და საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ქრისტოფოდისი დღეს ათენში მიმრინაველ საბერძნეთის მთავრობასთან კონსულტაციისთვის.

ᲐᲗᲔᲜᲘ. საბერძნეთის მთავრობის მეთაურმა კ. კარამანლისმა განაცხადა, რომ კვიპროსელ თურქთა ცალკე სახელმწიფოს გამოცხადება თვითნებური და უკანონო მოქმედებაა, რომელიც მიზნად ისახავს კუნძულის გაყოფას, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას ამ რაიონში.

საბერძნეთის მთავრობის წარმოშობგენელმა გაბაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყნის სახელმწიფო მდივნისა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა ბონში, რომელიც გათვალისწინებული იყო 16 თებერვლისათვის კვიპროსის პრობლემის განსახილველად, არ გაიმართება იმის გამო, რომ კვიპროსელ თურქთა ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს სუპრატელი სახელმწიფოს შექმნა. საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა ეს მაუარყო ცნობები იმის შესახებ, რომ საბერძნეთის შეიარაღებული ძალები საბრძოლველად არიან გამზადებული.

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სადი ირმაკმა განაცხადა, რომ კვიპროსელ თურქთა ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა წინასწარ შეაჯუობინეს თავისი განზრახვა შექმნან კვიპროსზე „თურქთა ფედერაციული სახელმწიფო“. პრემიერ-მინისტრი ამტკიცებდა, ეს ნაბიჯი „მიზნად არ ისახავს კუნძულის გაყოფასო“, კვიპროსელ თურქებსა და ბერძნებს. განაცხადა პრემიერმა, ერთმანეთის ვერცერთ შეუძლიათ იცხოვრონ, მხოლოდ ორი ცალკე სახელმწიფოსაგან შემდგარი ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებში.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა სინანული გამოთქვა კვიპროსელ თურქთა თემის ხელმძღვანელობის განცხადების გამო „კვიპროსის რესპუბლიკის თურქთა ფედერაციული სახელმწიფოს“ შექმნის შესახებ და მოუწოდა კვიპროსის ორივე მხარეს „დაუბრუნდნენ მოლაპარაკების გზას“.

აქ გაერცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყნის კანონიერ მთავრობად კვლავ ცნობს კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას. (საკდესი, 14 თებერვალი).

ᲐᲗᲔᲜᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). აქ ჩამოვიდა კვიპროსის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან პარლამენტის თავმჯდომარე გ. კლირიდისი, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ქრისტოფოდისი და სხვა ოფიციალური პირნი.

დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ თათბირში, რომელსაც თავმჯდომარეობდა პრემიერ-მინისტრი კ. კარამანლისი. თათბირზე განიხილეს კვიპროსის მდგომარეობა თურქთა თემის ხელმძღვანელობის უკანასკნელ მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელმაც გამოაცხადა, რომ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში შეიქმნა ეგრეთწოდებული „კვიპროსის რესპუბლიკის თურქთა ფედერაციული სახელმწიფო“.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვაოდეპარტამენტის წარმომადგენელთა მოსკოვში გამართული შეხვედრის შედეგებს მაღალი შეფასება მისცა ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის ექსპერტმა ეკონომიური პოლიტიკის საკითხებში კარბერტ ერინბერგმა. იგი მონაწილეობდა ამ შეხვედრაში, რომელიც საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა მოაწყო ბერგედორფის სადისკუსიო კლუბთან ერთად (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ბიულეტენში გამოქვეყნებულ სტატიაში ჰ. ერენბერგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების საფუძველზე. მათ განაცხადეს, რომ „ცივი ომის“ პოლიტიკის ერთადერთი ალტერნატივა ევროპაში ურთიერთობის ეფექტიანი დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე ქვეყნების თანამშრომლობის პოლიტიკაა.

როგორც ჰ. ერენბერგმა აღნიშნა, შეხვედრის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხებს, რომელიც შეესაბამება ორი ქვეყნის ინტერესებს.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲩᲚᲔᲚ ᲙᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘᲡ

ᲮᲣᲜᲢᲐ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲡ

ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲘᲐᲜᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲚᲘᲛᲐ, 14 თებერვალი. (საკდესი). ჩილეს მშრომელებისა და ხალხისადმი საერთაშორისო სოლიდარობის მძლავრი მოძრაობის ზეგავლენით ხუნტა იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა პოლიტპატიმართა — სახალხო ერთიანობის ბლოკის მოღვაწეთა კიდევ ერთი ჯგუფი. განთავისუფლებულთა შორის არიან სოფლის მეურნეობის მინისტრი ს. ალიენდეს მთავრობაში, ჩილეს სოციალისტური პარტიის წევრი ხუმე ტორადიკალური პარტიის თავმჯდომარე ანსელმო სუნე, ამ პარტიის სხვა ხელმძღვანელები — სენატორი უგო მირანდა და პარლამენტის დეპუტატი კარლოს მორალესი.

ყველა ისინი ხუნტამ გუშინ გაასახლა ვენესუელაში. კარაკასში მიმავალი თვითმფრინავი, რომლითაც ისინი გაემგზავნენ, გაჩერდა ლიმის აეროპორტში.

თაშისტური დიქტატურის საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ჯერ კიდევ რჩება მრავალი ათასი ჩილელი პატრიოტი. პუტჩისტთა დილეგებში არიან ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი, სახალხო ერთიანობის სხვა ხელმძღვანელები.

ჩილეს დედაქალაქიდან მიღებული ცნობებით, საფრთხეშია კომპარტიის ხელმძღვანელების სენატორ ხორხე მონტესისა და სპინელის სამადენ კომპლექსის „ჩუკიკამატის“ ყოფილი მმართველის დავიდ სილბერმანის სიცოცხლე. რომლებიც ეროვნული სადაზვერვო სამმართველოს — ოქაება-ის გესტაპოს დილეგში ჰყავთ. მედილეგეთა სასტიკი მოპყრობის, არასაკმაო კვებისა და ელემენტარული სამედიცინო დახმარების უქონლობის შედეგად მკვეთრად გაუარესდა ჩილეს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ვეტერანი კომუნისტის ენრიკე კარბერგის ჯანმრთელობა, რომელიც ამჟამად სანტიაგოს ერთ-ერთ სამხედროში ზის.

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. 14 თებერვალი. (საკდესი). რათა ჩაახშოს წინააღმდეგობის მზარდი მოძრაობა, ჩილეს ხუნტა აძლიერებს რეპრესიებს.

აქ მიღებული ცნობებით, ამ უკანასკნელ დღეებში სანტიაგოს მუშათა უბნებში მოაწყვეს ჩხრეკა-დაპატიმრების ახალი სერია. დაპატიმრებულია დაახლოებით 600 კაცი. ამჟამად მიმდინარეობს დაპატიმრებულთა დაკითხვა წამების გამოყენებით.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲰᲐᲕᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). 1973 წლის ზაფხულში კუბის დედაქალაქ ჰავანაში გაიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალი. გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებულია XI მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც აქ დამთავრდა.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲡᲝᲜᲔᲑᲘ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ, 15 თებერვალი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მოქმედების განხილვისათვის კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელმა კომიტეტმა. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდნენ 32 ქვეყნის დელეგაციები. მათ შორის სსრ კავშირის დელეგაცია.

მოსამზადებელმა კომიტეტმა მოიწონა მომავალი კონფერენციის პროცედურის წესების პროექტი. განსაზღვრა კონფერენციაში მეთვალყურე სახელმწიფოთა მონაწილეობისა და მისი გადაწყვეტილებების მიღების წესი.

ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია გაიმართება ქენევაში 1975 წლის 5 მაისს.

ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის სავაჭრო პალატის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მიღებულია ალბანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის წევრად. რუსუელიკური პალატა არის აგრეთვე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის ასამბლეის წევრი.

ეს მოწმობს საქართველოს სსრ რესპუბლიკის დიდ წვლილს საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში. საგარეო ვაჭრობა იზრდება მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად. ახლა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას სრულიად საკავშირო საგარეო სავაჭრო გაერთიანების მეშვეობით საქმიანი კონტაქტები აქვს 70 სახელმწიფოს სხვადასხვა ფირმასა და ორგანიზაციასთან. (საქინფორმი).

ᲛᲐᲗᲘ ᲧᲜᲘᲗ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

ᲛᲘᲣᲜᲰᲔᲜᲘᲡ მაქს პლანკის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტმა მავარიის ტელევიზიის საშუალებით საგულისხმო ფსიქოლოგიური ცდა დააყენა. სტუდიაში 120 მასწავლებელი მოიწვიეს. ამ მასწავლებელთა გაკვეთილი ჩვეულებრივი გაკვეთილისაგან ცხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ მასწავლებლები ვერ ხედავდნენ თავიანთ მოსწავლეებს, თუმცა პედაგოგები გააფრთხილეს „მოსწავლეები“ სპეციალურ საკარძლებში სხედან და ელექტროდები და გადამწოდები აქვთ შემოხვეული. ყოველი მცდარი პასუხისათვის მასწავლებელი გამოსადეგ ელექტროდენის დარტყმით სჯიდა. დუმილი საგნის არცოდნად ითვლებოდა.

ეგრეთწოდებულ „ელექტრომოკვენერატორებს“ ჰქონდა სახელურები, რომლებზეც იყო წარწერები: „მსუბუქია“, „ძლიერია“, „ძალიან ძლიერია“, „საშიშია“. 75 ვოლტის „როზგს“ რომ იგემებდა, „მოსწავლე“ ყვიროდა ხოლმე, 100 ვოლტის შემდეგ — კვნესოდა, 150-ის შემდეგ — იხვეწებოდა შემიბრალეთო, 250-ის შემდეგ ტკივილისგან თითქოს გონებადაკარგული ყვიროდა, მეტის გაძლება აღარ შემძლიანო. 400-420 ვოლტის შემდეგ „კლასიდან“ ჩამჩუმი არ ისმოდა. მასწავლებელმა ისიც კი არ იცოდა, „მოსწავლემ“ გონება დაკარგა თუ მოკვდა.

როგორც დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი“ ადასტურებს, მასწავლებელთა 85 პროცენტი მშვიდად სვდებოდა „მოსწავლეთან“ მაქსიმალურ დასჯას — 450 ვოლტს.

საბჭნერეროდ არავის არაფერი მოსვლია: ყველა შემთხვევაში მოსწავლის როლს (ზემოთ ჩვენ ეს სიტყვა შემთხვევით არ ჩაგვისვამს ბრჭყალებში) მშვენივრად ასრულებდა ლუის ბორხი — 21 წლის სტუდენტი, პროფესიით მომავალი ჟურნალისტი. მისი ყვირილი და კვნესა მაგნეტოფონის ფირზე იყო ჩაწერილი, თვითონ ბორხი კი აკვირდებოდა მასწავლებლებს და ეს დაკვირვებები დღიურში შეჰქონდა. მასწავლებლებმა არაფერი იცოდნენ ამ ოინისა. მათგან 102-მა სრულიად გულდამშვიდებულმა „დახოცა“ თავიანი „მოსწავლეები“. (აას).

ᲛᲐᲠᲣᲚᲐ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

... ჩამორეკეს ზარი და ოცდათხმა მხედარმა ცხენები დასძრა, „ბრიდ აბატუს“ ბრიზზე დაიწყო მარული დაბრკოლებებით.

როგორც ყოველთვის, დაძაბული ბრძოლა გაიმართა ამ სტაკეტ-ჩეზის დისტანციაზე. საუკეთესო ცხენებზე ამხედრებულმა საუკეთესო ჟოკეებმა სასტიკი „ომი“ გააჩაღეს ერთმანეთის, რომ პირველნი მისულიყვნენ ფინიშზე და მოეპოვებინათ სანუკვარი პრიზი.

გამარჯვებისათვის ყველაზე მეტი შანსები ჰქონდა პიერ კოსტას. 24 წლის ჟოკეი, საფრანგეთის ჩემპიონი საუკეთესო ფორმაშია და შეიბრძოლა ბევრ გამოდის ცხენით, რომელსაც ტაიმ სკუური ჰქვია და მთავარ ფავორიტად ითვლება...

მაგრამ ეს რა ხდება? მხედრებს ჯერ ნახევარი გზაც არ გაუვლიათ და კოსტა უკვე ჩამორჩა! ჩამორჩენა გრძელდება. მოასპარეზეთა ბოლო რიგებში გადადიან დანარჩენი. ფავორიტებიც... ახლა წინ უკვე აუტსაიდერები არიან.

და აი, ფინიშიც. იგი უჩვეულო იყო თავისი შედეგით. პირველი ათი ადგილი დაიკავეს ყველაზე ბოლმა ცხენებმა, ხოლო დანარჩენი თხუთმეტი ადგილი წილად ერგო უკეთეს ცხენებს. გამოირკვა, რომ ვინც აუტსაიდერებში დადო სანაძლეო. უამრავი ფული მოიკო.

თუმცა მოგებულებს ბედმა არ გაუღიმა: ურთიერთსანაძლეოების ხაზინაში სახელმწიფო სამმართველო მიხვდნენ, რომ ეს ამბავი სპორტული მოულოდნელობა კი არა, არამედ უფრო სისხლის სამართლის საქმეა და ამიტომ, რეიტერის საagენტოს ცნობით, შეწყვიტა ამ შეჯიბრებისათვის გათვალისწინებული თანხების გაცემა. ფინიშის შემდეგ გამოირკვა, რომ ცხრა ცხენზე, რომელსაც სტარტამდე მაინც დამაინც მაღალ შეფასებას არ აძლევდნენ, სალარიებში დიდი ფული იქნა დადებული. ერთი სიტყვით ნათელი გახდა, რომ ვიღაცამ შექმნა დღის სცენარი და განსორციელა კიდეც იგი.

დაიწყო გამძიებება.

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. კოსტა ციხეში ჩასვეს. აღმოჩნდა, რომ კოსტა 20 ათას ფრანკზე დათანხმდა ყველაზე ბოლოს მისულიყო ფინიშშე. იგი ამაზე საკითხში მოელაპარაკა და შეთანხმდა მეორე ჟოკეის რობერ ლაპიერს.

როგორც პარიზიდან რეიტერის საagენტოს კორესპონდენტი იუწყება, იურიდიული წყვეტის საშუალებით ცნობილი ხასდა, რომ ბამბმიერების ხელთა აქვს დანარჩენი თხუთმეტი ადამიანის სია, რომლებიც გამძიების მსვლელობაში უნდა დაჭიათხონ.

უფრო მეტიც, ჩერნ რეიტერის საagენტოს კორესპონდენტი, დღეს მოყვარულებისათვის ბომბის აფეთქებასავით გაისმაბა მოსალოდნელ დაპატიმრებათა სირია. იპოდრომის მაქინაციების მცოდნეთა აზრით მარტო ეოკეები არ არიან დამნაშავენი მაგალითად, კოსტას მწერნელი ორრ ბელა ამბობს: კოსტას ადგილზე რომ ვიყო, ყველაფერს ვიტყოდი, რაც ჩემთვის ცნობილი იყო. ....საჭიროა ნამდვილ დამნაშავეთა გამოაშკარავება... მათ, ვინც ფულები მოისყიდა... ყველა იცნობს, მაგრამ ერიდებიან“, თქვა ბელამ და ამით სიტყვა გადაუჭრა „ეხინოსორ ოამაშიბში“ კაპიტალის სამყაროს ამა სოფლის ძლიერთა მონაწილეობაზე.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲓᲐᲔᲚᲚᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲥᲡᲐᲢᲝᲠᲘ

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲘᲚᲐᲚᲔᲗ? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემას აადვილებს ხელსაწყო, რომელიც გააკეთა ტოკიოს უნივერსიტეტის საკლინიკო ლაბორატორიის თანამშრომელმა ს. ინაბამ. ხელსაწყო შედარებით მარტივია. მის ეკრანზე აინთება ციფრები „0“-დან „9“-მდე. მაინი შეცვლის სიხშირე რეგულირდება. სპეციალური მოწყობილობის საშუალებით იც ვლება მომიჯნავე ციფრების რიგი. მაგალითად, 2, 3, 4-ს ნაცვლად ჩნდება 2, 4, 3 ან 6, 7, 8-ს ნაცვლად 6, 8, 7. დაღლილი კაცი გარკვეული სიჩქარის დროს ვეღარ ამჩნევს გადანაცვლებას სწორედ ამ ნიშნის მიხედვით განისაზღვრება მისი დაღლილობის დონე.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ უდიდესი ქალაქი ტოკიო 11 მილიონ 619 ათასი მცხოვრებითა და მრავალმილიონიანი საავტომობილო პარკით ცდილობს ქალაქის ქუჩებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის პრობლემა 2-3 სართულიანი ავტოესტაკადების მშენებლობით გადაწყვეტოს, რომელთა საერთო სიგრძე ამჟამად 110 კილომეტრია, მაგრამ იაპონიის ქუჩები „პიკ“ საათებში მაინც გადატვირთულია. ასეთ დროს მანქანებით გზების ჩახერგვა ჩვეულებრივი მოვლენაა ჩქაროსნულ ეხტაკადებზე.

ამიტომ იაპონელები მათ „ავტომანქანების მიწისზედა სადგომს“ უწოდებენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: სამსართულიანი ეხტაკადა იაპონიის დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონში.

ᲯᲐᲞᲐᲜ ᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ „ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲡᲕᲚᲐ“

ᲯᲔᲠᲐᲠᲓᲘ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, რომ ისრაელმა შინაგანი, სულიერი სიმშვიდე იგრძნოს, აუცილებელია კიდევ ერ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, პარტიისადმი, სახელმწიფოსადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და „1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

წარმოების შინაგანი რეზერვების ფართოდ გამოყენების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის, შრომისა და მართვის ორგანიზაციის სისტემის სრულყოფის, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების მიღებული შემხვედრი გეგმების რეალიზაციის საფუძველზე პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტი წილი დიდმნიშვნელოვანი სახეობის ნაწარმის გაძლიშვების 1975 წლის დავალება შეასრულონ ვადამდე, 25 დეკემბრისათვის.

გეგმის გადაჭარბებით გაანაღდონ 890 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით უზრუნველყონ პროდუქციის გამოშვების მატების 80 პროცენტი. გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 50 ტონა გამამდიდრებელი მოწყობილობა, 110 ტონა კაბელი, ასობით ტონა ტყვია-თუთიის კონცენტრატი, 31 ათასი მანეთის რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და საშენი მასალები, 300 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 1000 ტონა დაფქული თალკი, 500 ცალი გაზის बალონი, 24 ტონა ლაქ-საღებავი და მშრალი თუთიის ფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება, გაუმჯობესონ მათი ხარისხი. მარცვლეულის მთლიანი მოსავალი გადიდონ 15.737 ტონამდე, ანუ, 1974 წელთან შედარებით ძიღონ 5.629 ტონით მეტი მარცვლეული და სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.050 ტონა, გეგმით გათვალისწინებული 3.011 ტონის ნაცვლად.

1974 წელთან შედარებით სახელმწიფოს მიჰყიდონ მეტი კარტოფილი 358 ტონა, ბოსტნეული — 2 146 ტონა, ხილი — 572 ტონა, რძე — 336 ტონა; კვერცხი — 1.164 ათასი ცალი, მატყლი — 42 ტონა.

კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს მეცნიერების, კულტურის, კომუნალური მეურნეობის სამსახურების, ეკონომიკის მუშაკებმა.

საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკებმა გადაწყვიტეს საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა შეასრულონ 101 პროცენტით, გაზარდონ სახელოსნოების, მიმღები პუნქტების ქსელი.

გადაწყვეტილია გაფართოდეს მაღაზიების ქსელი. საცალო საქონელბრუნვისა და საზოგადოებრივი კვების გეგმები შეასრულონ 1975 წლის 30 დეკემბრისათვის. მოსახლეობას გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდონ 254 ათასი მანეთის საქონელი.

განაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება აფხაზეთის ასსრ და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მშრომელებთან.

(საინფორმი).

მთავარია ზრუნვა ადამიანისათვის

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე

„თბილისი და თბილისელები ხუთწლედის დამამთავრებელ წელს“, — ასეთი იყო თემა ოსაბლიკური, საქალაქო და მთავალტარაეანი პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ფუმაკთა აოსკონფეფენციისა, ოოძელიც 14 თებერვალს გიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში.

პრეს-კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. გ. გელაშვილმა.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლომაძანიძე ეურხლისტებს ესაუბრა იმ დიდ ბუმაობაზე, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქში გაწეულია ხუთწლედის გამისაზღვრელ წელს, ძიმდინარე წლის ამოცანებზე.

თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა პროდუქციის გაღოშვებისა და რეალიზაციის წლიური დავალებანი. საზოგადოებრივი პროგრესის მძლავრი დამჩქარებელია სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ჩაბმული არიან ქალაქის ყველა საწარმოს კოლექტივები.

კიდევ უფრო სერიოზული ამოცანები დგას თბილისელ მშრომელთა წინაშე 1975 წელს. დადებული გეგმის მიუხედავად მათ გადაწყვეტეს ამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 40 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მიმდინარე წელს შესრულდება დიდი საოუმაობები, როალეიც ბიზად ისახავენ მშრომელთა ცხოვრების იატერიალური და კულტურული დონის შემდგომ აძაღლებას. აშენდება 500 ათას კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართობის სახლები. ძირითადად მათი შენებლობა იწარმოებს გლდანში, თემქის დასახლებაში და აკაკის გზატკეცილებზე. შეუშაკებელია მომავალ ხუთწლეულში საბინაო მშენებლობის გასაგებ ბის პროექტიც. ამ პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დამთავრდეს საცხოვრებელი სახლებისათვის გლდანის, თემქის დასახლების, ზღვისპირა უბნის, ვაშლიჯვრისა და სხვა ტერიტორიების ათვისება. განხორციელდება ოქტომბრისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების მნიშვნელოვანი ნაწილის რეკონსტრუქცია ამორტიზირებული საცხოვრებელი სახლების ხარჯზე.

მომდიანარე და მომდევნო წლებში კიდევ უფრო განვითარდება განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ვაჭრობა, მომსახურების სფერო. ქალაქში ვაშენდება დიდი ახალგაზრდობის პარკი, ახალი ბაღები, სკვერები, დამთავრდება გვირაბის მშენებლობა მეტეხის პლატოს ქვეშ,

ამჟ. ლობჟანიძემ უპასუხა პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკთა კითხვებს თბილისის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. (საინფორმი).

ალკოჰოლიზმი

ალკოჰოლიზმი — ერის ბედი

ვეგრძელდ ... ნარკომანიას, ლოთობას

მორალის თემაზე

ალკოჰოლიზმის, კერძოდ ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის სოციალურ-ფსიქოლოგიური და წმინდა ფსიქოლოგიური საფუძვლების შესწავლას მეტად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ფსიქოლოგიური პრობლემის ჯეროვანი შესწავლა გვარწმუნებს, რომ ამ საქმეში ოჯახს, საერთოდ ოჯახურ პირობებს უნდა დაეთმოს მთავარი ადგილი.

ცოცხალი მოწმე გახლავართ — მახსოვს, ურმისათვის ხის ღერძის რკინის ღერძით შეცვლა მნიშვნელოვან ტექნიკურ მიღწევად ითვლეოდა.

ჩემს ახალგაზრდობაში, ლენინგრადში ავალოვისა და ბებტერევის ინსტიტუტებში ვმუშაობდი. მშობლიურ სოფელ ბოდბისხევიდან იქ ჩასვლას ექვსი დღე-ღამე სჭირდებოდა. ეხლა ლენინგრადში კაცი სამ საათში ჩადის. ადამიანმა დაიპყრო კოსმოსი და გალაქტიკაში იცქირება. მეცნიერებამ და ტექნიკამ ხერხიოზული /მიღწევები მოიპოვა.

საქართველო ისტორიულად ვაზის ქვეყანაა. ქართველმა კაცმა კარგად იცის ვაზის ფესვის ძალა, მტევნის ბარაქა და მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენთან ლოთობა, მითუმეტეს განადგურებული ლოთობა არასდროს ყოფილა. ქიზიყიდან გასლვართ და ჩემს ახალგაზრდობაში არასდროს ღვინობა და ლოთობა არ მინახავს. მახსოვს ბედნიერი შეხვედრისას გულთბილი საუბრები, მეგობრული ლხენა, სიტყვაკაზმული მეტყველება და ხშირად ქართველი ერის სიამაყის — შოთა რუსთაველის პოემის ცალკეული ტაროფების თუ თავების ამეტყველება.

ახალგაზრდობაში გაუგებარი და გაუთავებელი თრობა, ღრეობა, წესრიგის დარღვევა მეტად სამარცხვინო მოვლენად ითვლებოდა.

მეცნიერებისა და ტექნიკის ზღაპრული მიღწევების პერიოდში გასაკუთრებულად გამრავლდა ე. წ. ფსიქონერვიული დაავადებები. მართალია, ხსენებულ დაავადებებს, კერძოდ ნარკომანიის სიმრავლეს უმთავრესად უცხო ქვეყნებში ვხვდებით, მაგრამ ჩვენთანაც არის ცალკეული ფაქტები.

ჯერ კიდევ 50 წლის წინათ ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ბუმკემ გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით: „კულტურა და გადაგვარება“. ამ ნაშრომის რუსული თარგმანი დღესაც შეიძლება მოინახოს ბიბლიოთეკებში. ნაშრომში ლაპარაკია, რომ კულტურა, წინსვლა, განათლება იძლევა ფსიქონერვიულ დაავადებებს, უმთავრესად კი ტოქსიკომანიის გამრავლება-გავრცელებას. ბუმკეს გაგებით, თითქოს კულტურას მოსდევს ზოგადი დაქვეითება და გადაგვარება.

მტკიცედ უნდა განვაცხადო და კარგად უნდა დავიხსომოთ, რომ ხსენებული დებულება უმართებულო და ძირეულად მცდარია.

რად გვინდა ისეთი კულტურა, რომელიც ადამიანის ფიზიკურ და ზნეობრივ გადაგვარებას იძლევა?

ჩვენი ქვეყნის სინამდვილე მტკიცე საბუთია იმისა, რომ არასდროს კულტურას ან განათლებას არ მოსდევს უარყოფითი შედეგები, თუ კი ფსიქოპროფილაქტიკური ღონისძიებები ჯეროვან ხიმაღლეზეა და სწორად არის მიმართული ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა და მორალური გაკეთება.



უცხოეთში ტოქსიკომანიის ზრდას, უპირველესად სოციოლოგიური ფაქტორები უდევს საფუძვლად, ხოლო ჩვენში ნარკომანიისა და განადგურებული ლოთობის შემთხვევები მიკროსოციოლოგიურ, ე. ი. ოჯახურ პირობებთან არის დაკავშირებული. ნარკომანიის, ე. ი. მორფინიზმისა თუ გაშიშიზმის და ქრონიკული ლოთობის შესახებ ბევრი იწერება პრესაში. ნარკომანიის შედეგია ჰიროვნების მძიმე დაქვეიფება, ზნეობრივი გადაგვარება და სოციალურ-საზოგადოებრივი განადგურება. არავინ არ მინდა უსაფუძვლოდ დავაშინო, მაგრამ მსურს ხმამაღლა განვაცხადო, რომ არცერთი დაავადება არ არის საზოგადოებრივად ესოდენ საზიანო, როგორც ტოქსიკომანიური დაქვეითება პიროვნებისა.

ოჯახი ერის ხიმაგრე, აწყო და მომავალია. ოჯახში ყალიბდება ახალგაზრდის პიროვნება და მისი მორალური სიფაქიზე.

ადამიანი იმით კი არ უნდა ფასდებოდეს, თუ რამდენს ღებულობს იგი საზოგადოებიდან, არამედ, პირველყოვლისა, იმით, თუ რას აძლევს იგი საზოგადოებას.

ოჯახში მიღებული მაგალითი ყოველმხრივ მტკიცეა და მომქმედი ზნეობრივ თვისებათა გამოკვეთაში. ახალგაზრდა ყველგან, ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში მტკიცედ უნდა უსმენდეს სინდისის შინაგან ხმას. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე ფიქრი ჩვილი ასაკიდანვეა საჭირო. უფრო მეტიც: ახალგაზრდა პიროვნება რომ არ გამრუდდეს, საჭიროა ოჯახში ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებიდანვე იყოს წესიერი, წყნარი, ყოველმხრივ მშვიდი, ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე აგებული ვითარება.

ბზარი ოჯახისა თუ გატეხილი ოჯახი ქმნის პირობებს, რომლებიც ამრუდებს ბავშვის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. გამრუდებული ოჯახი სოციალურად ძალზე საშიშია. ვიმეორებ, გამრუდებული ოჯახი მარტო კონკრეტული ზიანის წყაროა კი არ არის, არამედ ამ გზით ერთგვარად ხდება უარყოფითი მაგალითის ფსიქიკური რადიაცია. იაკობ გოგებაშვილმა თქვა, ამორალობის მიკრობი ყველა ინფექციაზე მძიმე, საშიში და საზიანოაო.

ბავშვი დადებითად იღებს ალერსისა და კეთილი მაგალითის ყოველ შემთხვევას, მაგრამ ამავე დროს იგი მეტად მწარედ და ტრაგიკული ულმობლობით უპასუხებს ყოველ ამორალურ და საზოგადოებრივად გაუმართლებელ მოვლენას. მინდა გავიხსენო: ოვა წლის ყოველმხრივ დადებითი და ნიჭიერი ბიჭუნა, რომლის მამამაც, ვიტყოდი, ოჯახი ვერაგულად მიატოვა, თავის დედას ამშვიდებდა: „გავიზრდები, მანქანას შევიძენ და შენ გატარებო“. იგი ამავე დროს მტკიცედ იცავდა დედის მორალურ ვითარებას და დიდი უურადღებით თვალს ადევნებდა მას ყოველ ქცევას, სასტიკად უკრძალავდა მას სარკეში ცქერას და კოსმეტიკაზე ფიქრს. ბავშვის მორალი მოცულობით მცირეა, მაგრამ თავისი შინაარსით, ხალრმითა და გრძნობათა ცეცხლით არანაირად არ არის მცირე და ნაკლებ მნიშვნელოვანი.

მინდა კიდევ შევჩერდე ბავშვთა შორის ფსიქიკური რადიაციის შემთხვევაზე. 8 წლის ბიჭუნამ, რომელიც სრულიად უალკოჰოლო ოჯახში იზრდებოდა, ერთხელ უცებ შენიშნა, რომ ეიქები ცარიელი იყო, შიგ ლუდი არ იყო. დღემდის ჩვენთვის გაუგებარია სად, როდის და რა ვითარებაში აღიბეჭდა ალკოჰოლური ექსესი ჩვილი ბავშვის სულიერ ცხოვრებაში. კიდევ შემთხვევა: 5 წლის გოგონა წაიყვანეს თოჯინების თეატრში, რატომღაც სანახობა არ შედგა: დაბრუნებისას, როცა ოჯახში კითხეს შთაბეჭდილებებზე, ბავშვმა გულუბრყვილოდ უპასუხა, თოჯინები არ გვაჩვენეს და მოგვატყუეს. ესენი ბავშვების ცხოვრების საინტერესო ფაქტებია, რომლებიც მტკიცედ მიგვითითებს იმაზე, თუ რა დიდი სიფრთხილე, მორიდება, [illegible] ... ერთ-ერთ ... ლობა მოგვასენებდა [illegible] ... ბავშვებთან, როგორც ქცევაში და მოქმედების შესაბამისად, ისე სიტყვა-პასუხში.

ოჯახში ... [illegible] ... ბავშვი ... ინერი გარჯისა და პატიოსანი ოფლისა. ხოლო თუ ოჯახში ბავშვი განსაკუთრებულად განებივრებულ პირობებში იზრდება და არ ხედავს შრომის ნაოფლ მაგალითს, მას უვითარდება წარმოდგენა, რომ სიამოვნების გრძნობა ანუ ბედნიერება ადამიანისათვის ერთადერთი სოცენებო სურვილი უნდა იყოს. ბედნიერებამ ადზრდა და ბედნიერებისა ინციპი ერთ-ერთი მთავარი მომენტია, რომელიც ხრწნის ახალგაზრდას, აქვეითებს, როგორც საზოგადოების წევრს.

ბედნიერებიდან ერთი ნაბიჯია ლოთობამდე, ნარკომანიამდე და ყოველგვარ ბოროტმოქმედებამდე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბედნიერების პრინციპი სოციალური შინაარსით ეგრეთწოდებული ნიჰილისტური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი სახეა.

მიმდინარე საუკუნის ოცდაან წლებში დასავლეთში ფეხი მოიკიდა ახალმა ნიჰილისტურმა მიმართულებამ, რომელიც ცნობილია, როგორც ფიზიოსოფიური ნიჰილიზმი. ხსენებულ მიმართულებას საუფლად უდევს გარკვეული ფსიქოლოგიური განწყობა და რწმენა, რომ ადამიანის ყოფაცხოვრება მოცულია ეგოიზმისა ღრუბლებით და ამიტომ მას დაკარგული აქვს საზოგადოებრივი შინაარსი, ერთადერთი მიზანია მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნების ძებნა — გზა ნარკომანიისა, ლოთობისა, რასაც მოსდევს მალალი საზოგადოებრივი ინტერესების სრული ლიკვიდაცია. ჩვენში შეინიშნება ერთიული შემთხვევები ნიჰილიზმისა, რომელსაც მე ბედნიერებურ ნიჰილიზმს ვუწოდებ. აქ მხედველობაში მყავს განებივრებული ახალგაზრდები, რომლებიც ეძებენ სიამოვნების კიდევ სხვა გზებს — ლოთობასა თუ ნარკომანიას.

ოჯახი, სადაც გამეფებულია ბედნიერების პრინციპი, რომ ადამიანი მხოლოდ სიამოვნებისათვის ცხოვრობს, იმავე დროს სნობიზმის თაყვანისმცემელია.

სნობიზმი ადამიანის ცხოვრების ყოველი უბნისათვის მეტად უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც უეჭველად უნდა დაიგმოს და გაიკიცხოს. სნობიზმი ნაშიავს ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, როდესაც ახალგაზრდა ოჯახში ზრდილი თუ ახალგაზრდა არ არის დაინტერესებული თავისი ქვეყნის ზნე-ჩვეულებებით და ბრმად, უკრიტიკოდ იღებს უცხო ჩვეულებს, ვერ ერკვევა თუ რა არის დადებითი და რა უარყოფითი.

ტრადიცია, როგორც ხალხის სიბრძნით შექმნილი მოვლენა, ყოველთვის დადებითია. უარყოფითია მხოლოდ ცუდი ზნე-ჩვეულებები. ოჯახში დედის ტრადიციების შექმნა-ჩამოყალიბებაში მთავარი ან-

ახალი ოპერის გამარჯვება

რ. ლაღიძის ოპერა „ლელა“ თბილისის ოპერისა და बალეტის თეატრის სცენაზე

ჩვენმა საზოგადოებრიობამ ახალი ეროვნული ოპერა იხილა. ახალი ქართული ოპერის დაბადება, მეტადრე მისი თვალსაჩინო წარმატება საზეიმო მოვლენად იქცევა ხოლმე. საბელდრმრ, ასეთი იყო ჩვენი კლასიკური ოპერის ხანა, რომლის შემდეგ დიდმა დრომ განვლო და მრავალი ახალი ოპერაც შეიქმნა, მაგრამ სრულფასოვანი წარმატება ეროვულებს ხვდა, რევაზ ლაღიძის „ლელას“ აღმოცენება ჩვენი კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ფოსენტებს დაემთხვა. ქართულმა ოპერამ ახალი ცხოვრება მოიპოვა საბჭოთა ქვეყნის მნიშვნელოვან საოპერო სცენებზე და გზა გაიკაფა უცხოეთის დიდი მუსიკალური ტრადიციების ქვეყნებშიც. ამ გზაზე კლასიკურ ოპერას მხარში ამოუდგა ქართული საბჭოური ოპერის ზოგიერთი თვალსაჩინო ნიმუშიც. ამ ბოლო დროს ქართული ოპერა იბრუნებს თავის პრესტიჟს და კვლავ ეროვნული მუსიკალური შემოქმედების ცენტრში ექცევა.

ამ პრესტიჟს ღირსეულად განამტკიცებს რევაზ ლაღიძის ოპერა. ამასთან მას თავიდანვე ეოგო ბედნიერი ხვედრი — პირველი დღიდანვე გულმხურვალედ მიიღო ხალხმა, თეატრის დასსა და მსმენელ-მაყურებელთა შორის სუფევდა ურთიერთგაგებისა და სიხარულის ატმოსფერო.

ამთავითვე ვიტყვი, რომ რევაზ ლაღიძე თავის ამ პირველ ოპერას წერდა იმის ურყევი რწმენით, რომ ვერაგიანთარი „თანამედროვე ნორმებად“ ქცეული მუსიკალური მეტყველების გართულებული სისტემები თუ ეფექტები ვერ დაუპირისპირდება იმ სისხლსავსე მღერადობას, მელოდიური ელვარების იმ ძალას, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ამოძრავებდა საოპერო ხელოვნებას, კლასიკურ მუსიკას.

„ლელა“ რომ აღსავსეა მომხიბლავი მელოდიებით, ამ მხრივ მოულოდნელი არაფერია. რ. ლაღიძის შემოქმედება ხომ კარგა ხანია გულთბილად მიიღო ჩვენმა ხალხმა, მისი პოპულარობაც ხომ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გასცდა, მელოდიური ელვარებით აღსავსე სიმღერებისა თუ რომანსების მეოხებით.

ოპერა „ლელაში“ კომპოზიტორის ხალასმა მელოდიურმა „მადანმა“ სიმფონიური სუნთქვა მიიღო, შეიმკო ფერადოვანი ჰარმონიით, ადამიანის უშუალო, გულთბად სიმღერის ორკესტრი გაეპაერა, ნატიფ ლირიკას — აძლავრი ეპიკური ხაკადები შეუპირისპირდა. ოპერაში უხვად არის არიები, დუეტები — ინტიმური თუ გმირულ-პატრიოტული იერისა, მათ კი უერთდება ნაირგვარი პლანის საგუნდო სცენები (უთავგრესად ლაკონიური, შინაგანად გამმაფრებული). ყოველივე ეს უშუალოდ მოქცეულია ერთიან „შენადნობში“ და გმირული ლეგენდის წარმტაცი ელფერით მსჭვალავს ოპერას. რთული კონცეფცია როდი უდგას საფუძვლად ოპერის მუსიკალურ დრამატურგიას, — მისი საფუძველი სწორედ ეს უშუალო შენადნობია და აღნაგობის პრინციპიც სადა და ცხადია.

მარტივია ლიბრეტოს სიუჟეტური ქარგა. დრამატურგმა ლევან ეუბაბრიან გამოიყენა ტრადიციული დრამის „მონა ვანასა“ მოტივები, ფიციალურად ასევ გამოცხადებული, მაგრამ ამ მოტივებმა ისეთი ძირეული სახეცვლა განიცადა, რომ ლიბრეტო არ-ენიშნავ აღიქმება, როგორც ორიგინალური ნაწარმოები. პირველად წარმოჩინდა ქართულ ოპერაში წარმართული ხანის კოლხეთი. ფაბულის სიმარტივის მიუხედავად, მასში ცხადად ჩანს ის სიყვარული, თავგანწირვის, რაინდობის, სამშობლოს ერთგულების, შეობლიურ მიწაზე სევდისა და დაბრუნების მოტივები. ლიბრეტოს ტექსტს ეპრდება დრამატურგიული კონოტაციები ოპერის მეორე და მესამე მოქმედებაში, მაგრამ იგი ძირითადად ხარტულანი და აზრიანია, საშუალებას უქმნის მუსიკას თავისებური კოლორიტის შექმნისათვის.

ოპერის გმირები არ წარმოგვიდგენიან რეული ბიოგრაფიით. მაყურებელი მათ ხანმოკლე ცხოვრებას აღიქვამს. მაგრამ ოპერაში ხალხი, მასა და გმირები ერთიმეორის ეირსა და ლხინს იზიარებენ, ურთიერთის ბედიდბალს განიცდიან და სადაც არის ამ ერთიანი განცდით ცხოვრება, სწორედ იქ არის „ლელას“ მუსიკალური დრამატურგიის უპირველესი თავისებურებაც და ძალაც. სახელდობრ, ეს ეხება ოპერის განაპირა „ქართულ მოქმედებებს“, განსაკუთრებით კი პირველს, რომელიც უდაოდ საუკეთესოა ოპერაში. ამით თავისებურად წარმოგვიდგა ოპერაში „ქართული ანტიკა“. გმირებისა და ხალხის მასის ამგვარი ერთიანი ცხოვრების წარმოსახვის ერთგზელი ფესვები ცნობილია, ამის დასაბამი ხალხურ საგუნდო ეპოსშია, კლასიკურ ოპერაში კი „აბესალომსა“ შექმნა ამის ტრადიცია — ქართული ოპერის უძლიერესი *ტრადიცია. რევაზ ლაღიძე ერთგულია ამ ტრადიციისა, ამასთან „ლელაში“ იგი საკუთარი სათქმელითა და დიდი განცდით, რაც მთავარია, საკუთარი ხალასი მუსიკით წარმოვიდგა.

„ლელას“ უძლიერესი პირველი მოქმედება აღნაგობის მხრივ შეიძლება დავახასიათოთ როგორც მკვეთრი ამუშაოლობით, შინაგანი ხიმართლით ენაცვლებიან ერთმანეთს საპირისპირო გამოვლინებანი, სახელდობრ მუსიკაში — სადა თუ ფართოდ გაშლილი მელოდიები, გამჭვირვალე, კრისტალური ხმოვანება თუ მკვეთრი ჰარმონიები, სისხლსავსე რიტმიკა.

რ. ლაღიძე კანტილენური, ფართო მღერადობის უსვი მელოდიური ნიჭით დაჯილდოებული კომპოზიტორია, შშვენიერად ფლობს იგი კლასიკურ საოპერო ფორმებს. ამასთან მისი მღერადი მელოდიები, უმთავრესად დიატონიკური წყობისა, აღებეჭდილია ინტონაციური კონკრეტულობით, არიები თუ დუეტები, მკაფიოდ განსხვავებულ ხასიათებს გამოხატავენ. ამის ეკვარე ნიმუშებია ბერდოსა და ლელას დუეტი (ბერდოს პათეტიკურ აღსარებას ლელას განწირულების გრძნობა უპასუხებს), ბერდოს ვედრება პირველ მოქმედებაში, გელასა და ლელას დუეტი მეორე აქტში (სიწყნიდით აღსავსე ჰანგი, რომლითაც ლელა შეიცნობს ბავშვობის მეგობარს), ბერდოს გოდება მესამე აქტში, შერგილის ეპიზოდები... გამოვთქვამ რწმენას, რომ ისინი ფართოპოპულარობას მოიპოვებენ.

მთავარი გმირების პარტიების გულღია ხასიათებთან, მათ ძირითადად დიატონიკურ მელოსთან ხატოვან კონტრასტს ქმნის ეგზოტიკა, მასობრივი სცენების მკაცრი კოლორიტი, ცვალებადი ინტონაციური თუ ჰარმონიული სიმძაფრე, შემართული რიტმული ენერგია. რ. ლაღიძის მუსიკალური ლექსიკა ამ სცენებში გამძაფრებულია და ახლებურად ეწყობა ეროვნული ხალხური, საუნჯის ფესვებს. აქ, უწინარეს ყოვლისა, საგრძნობია „კოლხური კოლორიტი“ მუსიკალური ფიტყველებისა, ეს გასლავთ მეგრული ხალხური მელოდიის თავისებურებანი, მეგრული ლირიკული სიმღერის უნაზესი კილო მსჭვალავს ოპერის დასაწყისშივე მლოცველი — მოზარე ქალის მოთქმას. (ამ ბოლო დროს ქართულ მუსიკაში განსაკუთრებით გაიზარდა მეგრული სიმღერის თავისებურებებისადმი ინტერესი), რომელიც კონტრასტულად ესალმუნება. მასობრივი სცენების წარმართულად მომწუსველ ყღერადობას, ეს გასლავთ სვანური კილო — ჰარმონიის სიმკვეთრით, ვაჟკაცური იერით, რომელთაც კომპოზიტორი თავისუფლად იყენებს რიტუალური ეპიზოდების, ფერსულების შექმნისას. ამ თვისებებს რ. ლაღიძე საკუთარ მუ-

ლიტუდების ღრმა, ორგანული შენადნობი. ეს გახლავთ უწყვეტი „დიალოგი“ ხალხის მასასა და მთავარ მოქმედ პირებს შორის. ამ დიალოგში, ორივე მხრივ, საკმაოდ ხმირად იცლება განდგომ (განყურეთად რომ სდევს ოპერას) ტონუსი, სახეობა. ალეაშემორტყმული კოლხების ბანდათა ცვალებადობა ხან მოთქმა-გოდებას, ხან ლოცვა-ღაღადისის სიწმიდე-სინანდფილს, ხან წარმართულ რიტუალებს ან შურისგების გრძნობის აღწევებას, ხან კიდევ საბრძოლოდ დამუტკვასა და გმირულ შემართებას გამოხატავს. ყოველივე ეს ერთიან, დიდ ეპიკურ ტილოზეა წარმოჩენილი.

ამის უპირველესი წარმომჩენი მუსიკაა. იგი ადუდაბეს მთელ ამ პროცესს და, რაც უფრო ნიშანდობლივია კომპოზიტორის მხატვრული ხასიათისთვის — ბუნებრივად წარმართავს ამ დიდ დინებას, მის შინაგან შენაკადებს. ხალასი უშუალობის, მხატვრული სიმართლის გრძნობა ანასად ღალატობს რ. ლაღიძეს. ასეუშუალოდ შეეერდება მლოცველი მოზარე ქალის მოთქმას (რითაც ოპერა იწყება) — ქართველთა წინამძღოლის ბერდოს გმინვა და მათ ერთდროულ ყღერაში სახალხო ტრაგედიასთან ერთად, გმირის პირადი დრამაც ისახება და ვითარდება... სრული ალკარად უნდა ითქვას, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრს, რაც იგი დროებით დაბინავდა პროფკავშირთა სასახლის შენობაში, არ უჩვენებია ესოდენ მნიშვნელოვანი, დიდი მასშტაბის ნაშუშავარი. თეატრის დასმა დიდი ენერგია და სიყვარული ჩაეაოვა ახალ ქართულ ოპერას და დაამტკიცა, რომ ამ შესანიშნავი ტრადიციების თეატრის პოტენციალ კვლავ მზად არის დიდი შემოქმედებითი ამოცანების გადასაწყვეტად.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი, რომელსაც ახლახან დაეკისრა თეატრის მთავარი დირიჟორის მოვალეობა და „ლელას“ დირიჟორობით გაამართალა ეს ნდობა. გ. აზმაიფარაშვილი ნამდვილი შემოქმედებითი შემართებით, ტემპერამენტით, რიტმული მკაფიობით უძღვება სპექტაკლს, მშვენიერ კონტაქტს ამყარებს მომღერალ-სოლისტებსა, ბუნდოვანი ორკესტრის შორის. დირიჟორის მთლიანობაში აქვს ნაგრძნობი მუსიკის დინამიკური გრეხილები და უტყუარი განცდით გადმოსცემს ინტიმურ ეპიზოდებსაც, დიდ სახალხო სცენებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ ოპერის მზადების ადრინდელ ეტაპზე სოლიდური წინასწარი მუშაობა გასწია ღირიჟორმა ვახტანგ ფალიაშვილმა.

რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ და მხატვარმა გიორგი გუნიამ ოპერა წარმოგვიდგინეს გმირული ლეგენდის პლანში. სცენაზე გაშლილია ძკაცრი, მონუმენტური პანორამა, სადაც კოლხური ლეგენდის კოლორიტი წარმოჩენილია ვეებერთელა ძველქართული კოშკების ანსამბლით. (გვაგონდება ს. ახმეტელის და ი. გამრეკელის სპექტაკლი „თეთნულდი“, რომელმაც სათავე დაუდო ამგვარ ტრადიციას). გ. ჟორდანია მარჯვედ იყენებს დინამიკურ რელიეფს, სცენის ბრუნვას და მუსიკის ბუნების, მისი შინაგანი რიტმის უტყუარი გრძნობით აგებს სცენურ პარტიტურას, რომელიც აღინიშნება მძაფრი პლასტიკით გამოკვეთილი მოქმედებისა და უძრავი „ქორალური“ სცენების ბუნებრივი ურთიერთცვლით. რეალისტური პლანის ქმედებაში რეჟისორს ეფექტურად აქვს ჩართული პირობითი—პლასტიკური მოძრაობანი. ნიმუშისათვის აღვნიშნავ პირველი აქტის უმნიშვნელოვანეს მასობრივ სცენას, როდესაც ალყაშემორტყმულ ქართველ მეომრებში განრისხება იფეთქებს. მებრძოლ ჰანგზე (რ. ლაღიძე გამოიყენა და ეფექტურად განავითარა თავისივე ფრიად პოპულარული ლაშქრული ფილმიდან „ხევსურული გორნ“) გარინდებული, მანამდე დოკებული ლაშქარი ჯგუფ-ჯგუფად მოწყდება ადგილიდან და თავის წინამძღოლს სარძოლო მზადყოფნით წარუდგება. პირველ წარმოდგენებზე სცენაზე შეიმჩნეოდა ზედმეტი მოძრაობები, ასევე კოშკების მეტისმეტად ხშირი ბრუნვა, რაც შემდეგ სპექტაკლებში შემცირდა, უფრო ზომიერი გახდა სიათლის გამა და კოსტუმები ეფექტურად გადმოსცემენ ძველ კოლხურ კოლორიტს.

ახალი ოპერის დაბადებაში დიდი შემოქმედებითი წილი უდევთ თეატრის სახელოვან მომღერლებს. მათ შეეყვარეს ეს ოპერა, სწრაფად შევიდნენ და თავისუფლად გრძნობენ თავს მისი მუსიკის სამყაროში, მღერიან გატაცებით. ზურაბ ანჯაფარიძე დიდი დრამატიზმით ანსაღიერებს ბერდოს, ღრმა განცდით და შემოქმედებითი გზნებით გადმოსცემს და ისისსლხორცებს მუსიკის ინტონაციურ თავისებურებებს (რაც ამ შესანიშნავი მომღერლის უძლიერესი იარაღია). „ლელა“ მამისილი თავდაჭერილობით, მკაცრი დრამატიზმით, ნამდვილი არტისტული ტაქტით ასრულებს ლელას მედეა ამირანაშვილი. მასთან ერთად ღირსეულ „სამეულს“ ქმნის ახალგაზრდა მომღერალი ჯამალ მდივანი (გელა), რომელმაც დიდი მოწონება ჰპოვა თავისი ჭეშმარიტად ლამაზი ბარიტონით, ეფექტური სცენურობით, ლირიკული სიწრფელით. ბერდოს მეორე შემსრულებელი ვლადიმერ კანდელაკი, რომელმაც ბოლო სეზონებში დრამატული ტენორის მნიშვნელოვან პარტიებში გამოსვლით წარმატებები მოიპოვა, ამ პარტიაშიც წარმოგვიდგება შთამბეჭდავად. ქართველთა უსუცესის, ბრძენი შერგილის მონუმენტურ სახეს ქმნის ირა

საუკუნეთა მიჯნაზე

ს. კილაძის ფოტოტიუდი.

პ უ რ ი თქვენს სუფრაზე

ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტის საუბარი პურის ცხობის მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან ვიტალი პატთან.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ შავი პურის მოხმარების ისტორიასა და გეოგრაფიაზე?

— სწორი რომ ვთქვათ, ამ სახის პურს ჭვავის პურს ეძახიან, რადგან მის გამოსაცხობად გამოყენებულია ჭვავის ფქვილი. ჭვავის მოყვანა ადამიანებმა ისწავლეს ჯერ კიდევ რამდენიმე ათასწლეულის წინათ ისეთ პურეულთან ერთად, როგორიც არის ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი. ხოლო ჭვავის პურის მოხმარების გეოგრაფია დაკავშირებულია პურეულის მოყვანის კლიმატურ პირობებთან და სხვადასხვა ხალხის კვების რაციონში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებთან. შავ პურს ბევრს ჭამენ რუსეთის ფედერაციის ევროპულ ნაწილში, უკრაინის ჩრდილოეთში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკებში, მას სიამოვნებით ჭამენ აგრეთვე პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სკანდინავიის ქვეყნებში.

— რით განსხვავდება შავი პური სხვა სახის პურისაგან?

— კვების ფიზიოლოგიის თვალსაზრისით ფენილეარის მიაჩნიათ, რომ შავი პური თეთრთან შედარებით შეიცავს „ბ“ ჯგუფის მეტ ვიტამინებს, იგი ნაკლებად კალორიულია და ამიტომ ნაკლებად უწყობს ხელს სიმსუქნეს, როცა ორგანიზმი ფიზიკურად მინდამაინც დატვირთული არ არის. იგი შეიცავს ზოგიერთ აუცილებელ მინერალურ ნივთიერებას, რომლებიც არასაკმარისია სხვა სახეობის პურში. შავი პურის ღირსებას შეიძლება დავუმატოთ ის, რომ იგი უფრო ნელა ხმება. იგი აგრეთვე განირჩევა წარმოების ტექნოლოგიით, რომელიც უფრო რთული. და ხანგრძლივია. შავი პური მზადდება განსაკუთრებული საფუარით, რომელიც შეიცავს სპეციალურ მიკროორგანიზმებს, რაც მას სპეციფიკურ გემოსა და სურნელს აძლევს.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში აწარმოებენ 700-ზე მეტი დასახელების პურ-ფუნთუშეულს, მათგან 25 სახის შავ პურს. ჩვენს ქვეყანაში წარმოებული სხვადასხვა სახის შავი პური განსხვავდება კომპონენტების შემადგენლობით, აგრეთვე მჟავიანობის დონით. მეცხიერები გასუწყვეტლივ მუშაობენ პურის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამუშავებენ ახალ რეცეპტურას და სრულყოფენ წარმოების ტექნოლოგიას.

— გვითხარით, მაინც რომელი პური, თქვენი აზრით, უკეთესი?

— მე ვფიქრობ, რომ საკითხის ასე დაყენება არ შეიძლება. საქმე ის არის, რომ ხორბლისა და ჭვავის პური, რომლებსაც მთელი რიგი საკუთარი ღირსებები აქვთ, ურთიერთს ავსებენ ადამიანის კვების რაციონში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხორბლისა და ჭვავის პურის ოპტიმალური თანაფარდობა მოხმარებაში დაახლოებით 3:1 უნდა იყოს.

ახალი ამბების საagენტო.

ახალი ამბები

ფიქრები კოვპაკზე — ნაღარა

კინოტრილოგია მოგვითხრობს იმ სახელგანთქმული პარტიზანული შენაერთის საბრძოლო ლაშქრობებსა და რეიდებზე, რომლის მეთაური იყო საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ს. კოვპაკი. პირველ ფილმში „ნაღარაში“ ნაჩვენებია პარტიზანული რაზმის ჩასახვის პერიოდი. კინოსურათი ი. ბოლგარინისა და ვ. ხმირნოვის სცენარის მიხედვით გადაიღო უკრაინული კინემატოგრაფიის უხუცესმა წარმომადგენელმა რეჟისორმა ტ. ლევჩუკმა. ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში.

ჰერცოგი ბ ო ბ ი

ფილმი ენე ხუსკას ოპერეტის ეკრანიზაციაა. იგი ტახტის პრეტენდენტის ოინებზე მოგვითხრობს. ფილმის სცენარი ეკუთვნის ი. ბეკეფის, რეჟისორია მ. კელეტი, ოპერატორი — ი. შიკი.

კინოსურათი გადაიღო კინოსტუდია „მაფილმმა“ (უნგრეთი).

ცა ჩემთან არის

ბევრი ფილმი შეუქმნიათ საბჭოთა კინემატოგრაფიისტებს ომის თემაზე, რომლებშიც სამშობლოს დამცველი გმირი მფრინავები იუვნენ ნაჩვენები. ახალი ფილმიც მფრინავ-გამომცდელებზე, მათ ბედზე მოგვითხრობს... სცენარის ავტორები არიან ო. სტუკალოვი, თ. კოცენკოვა, მ. პოპოვიჩი. ფილმი გადაიღო რეჟისორმა ვ. ლოსკოიმ კინოსტუდია „მოსფილმში“.

სურათებზე: კადრები ფილმებიდან.

ფიქრები კოვპაკზე — ნაღარა

ჰერცოგი ბობი

ცა ჩემთან არის

წიგნის თარო

ანდრეი უპიტი—რჩეული. ლატვიის სახალხო მწერლის ა. უპიტის თანამეგობრეე და ისტორიულ თემაზე შექმნილ რომანების, მოთხრობებს, ნოველებს, პიესებს, კრიტიკულ-უბადლიესტურ წერილებსა და სტატიებს საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს. ქართულ ენაზე კი მის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული პირველად გამოდის. მთარგმნელი ზურაბ ლეშკასელი. წიგნის რედაქტორია გ. კეკენაძეკ, მხატვარი — გ. წერეთელი. გამომცემლობა „მერანი“, გვ. 496.

ვასო ბაიაძე — ხოფმაწვილიდან ხიჭაბუკემდე. წიგნში განხილულია საბავშვო მწერლობის აქტუალური საკითხები, ფართო ადგილი აქვს დათმობილი ი. გრიშაშვილის, მაყ. მრეველიშვილის, ი. აბაშიძის, რ. ინანიშვილის და სხვათა საბავშვო ქმნილებების კრიტიკულ ანალიზს. რედაქტორი თ. ბეკეშვილი, მხატვარი დ. გრიგოლია. გამომცემლობა „ნაკადული“.

ადამიანი და ბუნება

გაზაფხულის ერთვნული სუნამოობა

ბავშვ თებერვლის პირველი ნახევარი — ზამთრის სიცივის უკანასკნელი ხანა. საქართველოს მთიანეთში ჯერ კიდევ ყველაფერი ზამთრის ყაიდაზეა. მზის სუსტი სხივები ზღაპრულად ირეკლება ხის ტოტებზე ჩამოწოლილ თოვლის ქათქათა ბალიშებზე. დილაობით არემარე თრთვილის სამოსელშია გახვეული. საოცარ სიმშვიდესა და სიწყნარეს დაუსადგურებია ირგვლივ...

სულ სხვაა ბარი. ზამთრის უდრტვინველ სიმშვიდეს აქ უკვე ადრე გაზაფხულის პირველი სუნთქვა არღვევს, შავიზღვისპირეთში მიმოზის ოქროს რტოს აყვავება სამხრეთული გაზაფხულის ესტაფეტას ნიშნავს. უკვე ღუიან თხილისა და მურყანის ყვავილების ფუშფუშა საყურეები. თებერვლის — ამ პირველყვავილობის თვის შუა რიცხვებიდან აყვავილდება ვეფანი, კვიპაროსი, კოლხური ბზა— ეს მესანიშნავი მარადმწვანე მცენარე, რომელსაც რკინასავით მაგარი მერქანი აქვს.

ტყის თოვლის ნამქერში ყველაზე ადრე იღვიძებენ ყვავილთა შორის გაზაფხულის პირველი მერცხლები— ენძელები. ბუნების საერთო კალენდარს რიდი ემორჩილებიან დედამიწის ბუნების ეს უძველესი წარმომადგენლები. მათ თავიანთი კანონება აქვთ. თოვლისქვეშა სათბურის უჩინმაჩინი — ენძელა გაზაფხულის პირველი ღიმილია. არც მინდვრად, არც მდელოზე, არსად არცერთი ყვავილა, არცერთი ღერო მწვანე ბალახი და... აგერ, ტყეში, სიცოცხლის მაგიური ძალა ენძელას ნაზ ყლორტებს თოვლის მძიმე საბურველს გაარღვევინებს! ენძელებად გარდასახული გაზაფხულის დაუოკებელი რიტმი შეარყევს და უკუაქცევს ხევ-ხუვებში თოვლისდა საშვილიშვილოდ ჩაწოლილ მძიმე ნამქერებს და ეშმაკურად მოციმციმე ყვავილთა ცისფერი თვალები აციმციმებენ, სიცოცხლეს შესძენენ შეუმოსავი ტყის მოშიშვლებულ მიწას. თითქმის ერთდროულად, გაზაფხულის დამდეგის მოწყენილ დღეს სიცოცხლეს დაუბრუნებენ, გაახალისებენ კეკლუცი ყინჩივარდნები.

ამბობენ, 15 თებერვალს ზამთარი ზაფხულს ხვდებაო. ხმირად ეს შეხვედრა ერთობ ცივია. ამ დროს ჩვენში უზტესად თოვლი დვენს, თუმცა, როგორც აკადემიკოსი ი. პავლოვი იტყოდა ხოლმე, „თებერვლის თოვლი თავისებურია, გაზაფხულის სუნუდის“.

ხალხური კალენდრით 14 თებერვალი ნიმანდლობლივი დღეა — „ზამთარს რქები ატყდება“. იწყება დათბობა, პირველი ზვეთები, პირველი გუბურები, ცოცხალი წყლის პირველი მელოდია... „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“..

ეს თვე ნიადაგში ტენის დაგროვების ყველაზე ნაყოფიერი თვეა. აქედან მართებს გლეხკაცს დიდი სიმარჯვე, თადარიგი.

თებერვლის დილას ხმაურით იღვიძებს დიდი ხნით მიძინებული ტყე. მომტეტებელმა დღის სინათლემ, მზის სხივებმა, ფრინველთა ხმაურმა შეაღწიეს, ძილი დაუფრთხო მხეცებს. დღისით წოლა შეუძლებელი გახდა. გაღვიძებული ზინაგანი ძალა ერთ ადგილას აღარ აჩერებს ტყიურთა, დაფხეტებიან, ეძებენ შეხვედრებს, იძენენ „ნაცნობებს“...

თებერვალი ბევრი ნადირის საქორწინო თვეა, წინასაქორწინო მოუსვენარი ფუსფუსი თოვლზე თავის ხელწერას ტოვებს — ზეკილად, ჯგუფურად, მორგიგობით ამჩნევია მას თათების უწესრიგო ნაკვალევი. მაინც როგორ შეიცვალა ცხოველთა სიარულის მანერა!—ზამთრისათვის დამახასიათებელი აღარავითარი სიდინჯე.

სულ სხვა ქცევები, ხტუნვა-თამაშები... თითქოსდა ჭკუაზე შეიმაღლენო, კურდღლებმა თათებით გადაფხეხეს თოვლის თეთრი ზეწარი, ისე ანცად გამოხატეს მათ თავიანთი საგაზაფხულო განწყობილება. უნდა გავუგოთ ნაცარგეს, მათს მარტოხელა ცხოვრებას ხომ წერტილი დაესვა!

თებერვლიდან ბევრი ტყიური მისამართის იცვლის. მელა უფრო ხშირად მინდორშია, ვიდრე ტყეში. მგლებმაც განარიღეს თავი ულრან ტყეს, მინდერებს, ხეობებს, ადამიანის საცხოვრებელს შიუსლოვდნენ.

მელიების წყვილთა გაცნობა-დაასლოება მთელი ცერემონიაა. ჯერ გარკვეულ მანძილზე კეკლუცობენ, დახტიან და გორაობენ, კუდს ათასნაირად ათამაშებენენ, როგორც ერთმანეთს მიუახლოვდებიან, უკანა თათებზე ხასაცილოდ წამოჯდებიან და საცმეკაო რიტმის დაურღვეველად მელა „ავალური“ წინა თათებით მოწიწებით შეეხება თავისი წყვილის წინა თათებს. და ასე, თავაზიანად ტკეპნიან ისინი თოვლს, აკეთებენ გრაციოზ სავსე სვლებს. შემდეგ შემობრუნდებიან და იმავეს იმეორებენ უკანა თათებით. საოცრად სასაცილო და ბიზიდველია თებერვლის მყუდრო საღამოს მელიების ეს „ფოქსტროტები“. დიახ, სწორედ აქედან გადაიღეს ადამიანებმა ცეკვა „ფოქსტროტის“ ილეთები, რაც სიტყვასიტყვით „მელიების ნაბიჯს“ ნიშნავს.

ახლა უკვე ვეღარ შეხვდებით მგლების ხროვისაგან ღრმად დატკეპნილ ბილიკებს. ეყოფიან ხროვას ცალკეული წყვილები. ყველაზე ძლიერებს შორის სასტიკი ბრძოლები იმართება, მძვინვარე ღმუილი, ბრჭყალები, ეშვები, ძალისა და მოქნილობის დემონსტრაცია, ბრძოლისა და შეხლა-შემოხლის ადგილას სისხლი იშვიათად იღვრება, ბეწვების ნაგლეჯები კი, იცოცხლეთ, ხშირად რჩება.

ტყის გარეული კატები — ფოცხვერები გულგამგმირავად კნავიან და ბრჭყალებით დაუნდობლად ირძვიან. შეწყვილებისას თითო მდედრზე ორი-სამი კონკურენტი მოდის. დავის მთავარი გადაწყვეტი აქაც ძალაა.

სულ სხვაა კურდღელი. აქ ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება— კურდღლის მთელი ძალა ფეხებში აქვს და მდედრიც მას რჩება, ვინც „მარულას“ მოიგებს.

თებერვალში დათვს ორი-სამი ბელი უჩნდება. ორ-სამ თვეს, ვიდრე ჰაბერებს კვებავს, დედა თვითონ არც ჭამს და არც წყალს სვამს.

ფრთოსანთა ესკადრილიის ავანგარდები სტოვებენ გამოსაზამთრებელ ადგილებს — შუა აზიას, კასპიისპირეთს, ირანს, ეგვიპტეს, ბეზს იღებენ მშობლიური მხარეებისაკენ. სტუმრად კარგია, მაგრამ საკუთარ სახლში — მაინც უკეთესია...

თებერვალია — ბუნებაში გაზაფხული სუნთქავს.

არნ. ბეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ჩვენი კინოაფიშა

ფიქრები კოვპაკზე — ნაღარა

კინოტრილოგია მოგვითხრობს იმ სახელგანთქმული პარტიზანული შენაერთის საბრძოლო ლაშქრობებსა და რეიდებზე, რომლის მეთაური იყო საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ს. კოვპაკი. პირველ ფილმში „ნაღარაში“ ნაჩვენებია პარტიზანული რაზმის ჩასახვის პერიოდი. კინოსურათი ი. ბოლგარინისა და ვ. ხმირნოვის სცენარის მიხედვით გადაიღო უკრაინული კინემატოგრაფიის უხუცესმა წარმომადგენელმა რეჟისორმა ტ. ლევჩუკმა. ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში.

ჰერცოგი ბ ო ბ ი

ფილმი ენე ხუსკას ოპერეტის ეკრანიზაციაა. იგი ტახტის პრეტენდენტის ოინებზე მოგვითხრობს. ფილმის სცენარი ეკუთვნის ი. ბეკეფის, რეჟისორია მ. კელეტი, ოპერატორი — ი. შიკი.

კინოსურათი გადაიღო კინოსტუდია „მაფილმმა“ (უნგრეთი).

ცა ჩემთან ა რ ი ს

ბევრი ფილმი შეუქმნიათ საბჭოთა კინემატოგრაფიისტებს ომის თემაზე, რომლებშიც სამშობლოს დამცველი გმირი მფრინავები იუვნენ ნაჩვენები. ახალი ფილმიც მფრინავ-გამომცდელებზე, მათ ბედზე მოგვითხრობს... სცენარის ავტორები არიან ო. სტუკალოვი, თ. კოცენკოვა, მ. პოპოვიჩი. ფილმი გადაიღო რეჟისორმა ვ. ლოსკოიმ კინოსტუდია „მოსფილმში“.

სურათებზე: კადრები ფილმებიდან.

ფიქრები კოვპაკზე — ნაღარა

ჰერცოგი ბობი

ცა ჩემთან არის

ხ ა ლ ხ ი ა ღ ი დ ე ბ ს, ხ ა ლ ხ ი უ მ ღ ვ რ ი ს

•მაღე ჩვენი სამშობლო გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავს იდღესასწაულებს.

ხალხი არ ივიწყებს და არც არასოდეს დაივიწყებს ომის მრისხანე დღეებს, გმირებს, რომელთაც თავი გასწირეს ჩვენი ახალგაზრდობის ნათელი მომავლისათვის, ჩვენი დედებისა და დების ნამუსის, შვილთა აკვნებისა და მამა-პაპათა საფლავების გადასარჩენად, რომელთაც მტერს მზე დაუბნელეს და მამულს მშვიდობა და ბედნიერება დაუმკვიდრეს.

ხალხი გულის ფიცარზე იწერს გმირების ნათელ სსოვნას, დიდების შარავანდედით მოსავს მათს ვაჟკაცობას, ლექსებს, სიმღერებს თხზავს სამშობლოსათვის თავდადებულ რაინდებზე. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა ქებათა-ქებას უმღერიან გმირთა სახელებს, გულწრფელ სტრიქონებში აქსოვენ მათი უკვდავების საგალობელს.

ბევრს ააღებინა ხელში კალამი შინმოუსვლელთა სიყვარულმა და გულისტკივილმა. ბევრი მათგანი პროფესიონალი პოეტი არ არის, მაგრამ, რაც მთავარია, მათს ჩანგს გულწრფელი და ხალასი, ალაფ-მართალი გრძნობები აჟღერებს.

სამამულო ომის ექმ ჩვენი სამშობლოს კიდით კიდემდე გიბნინია. ხალხში ბევრი პოეტური მარგალიტია გაბნეული. ალბათ ბევრ ოჯახში ინახება მგბრძოლთა უბის წიგნაკები, საფრონტო რვეულები, ზოგ მათგანს ალბათ სისხლის ლაქებიც ამჩნევია. რედაქცია სთხოვს „კომუნისტის“ მკითხველებს გამოგვიზავნონ ფრონტელ მებრძოლთა ლექსები, სხვა ჩანაწერები, აგრეთვე ის ლექსები, რომლებიც სამამულო ომის მრისხანე დღეებში გაისმოდა ხალხში და ამხნევებდა, ძალღონეს მატებდა საბჭოთა მეომრებს მტრის შესამუსრავად ; არც ის ლექსებია ნაკლებ საინტერესო, რომლებიც სხვადასხვა დროს ხალხმა მიუძღვნა სამშობლოს დამცველებს.

ველით თქვენს სტრიქონებს, მეგობრებო!

□

საქართველოს ოვ ი ს გ ვ ი რ ე ბ ს

როცა მტარვალნი დაგვეცნენ,
თქვენც იქ ხაომრად
წახველით,
გაანადგურეთ ვერაგნი,
გაქენდათ თქვენი მნახველი,
ამიტომ ხალხმა გიწოდათ
უკვდავ გმირების სახელი.

ფაშისტებს, პირსისხლიანებს
თავს დაატეხეთ მეხები,
ახლა თქვენს საფლავს,
ძვირფასნო,
დაშრიალებენ ვერხვები.
თქვენ საფლავს, მეტად
ძვირფასსა
საკოცნად გადავეხვევი.

თქვენი ოჯახი, გმირებო,
კვლავ ზრდის ვაუკაცებს
ფხიანებს,
ტრაქტორით, კომბაინებით
მინდვრები აახმიანეს,
მტრის შესამუსრად მათ
ხმლები
გალესეს, გააბრიალეს.

თუ წამოვიდნენ საომრად
მტრები პირსისხლიანები,
თუ მოინდომეს გათელონ
ჩვენი ზვრები და ყანები,
სადაც შვილები მტერს
გაულეტთ,
ჩვენც იქ ვიომებთ მამები.

ვანო მრელაშვილი,
ხალხური მთქმელი.

ს. იყალთო, თელავის რაიონი.



ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

რ ე ზ ი ნ ი ს ს ი ნ დ ი ს ი

გვარი მიმოწერა ათი კილოგრამი მაინც გამოვა, სამინისტროს არქივში ასეთი ქაღალდები ძველ ტონას შეადგენს.

და განა მარტო ფეხსაცმლის რეზინის თაობაზე! სამინისტრო იმითაც არის შეწუხებული, რომ ქარხანაში დამზადებული ფეხსაცმლის ხარისხი მდარეზე მდარეა. ღიერომა დაიფიროს, რომ ინვალიდი წვიმიან ამინდში გარეთ გამოვიდეს. გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს და ფეხსაცმელი, ახალი შეკერილიც რომ იყოს, ერთიანად დაუსველდება.

მერე რატომ? არც ეს არის საიდუმლო სამინისტროსთვის. ერთი მხრივ, მისთვის კარგად არის ცნობილი საღირექტივო დადგენილება ორთოპედიული ფეხსაცმლისათვის ყველაზე კონდიციური ტყავის გამოყოფის შესახებ, და ამავე დროს, ცხადია მეორე მხრივ, სამინისტრომ კარგად იცის, რომ სინამდვილეში ეს დადგენილება უგულებელყოფილია და თბილისის ორთოპედიული ქარხანა ადგილობრივი მიმწოდებლისაგან ყველაზე ცუდი ხარისხის ტყავს იღებს. ეი ამიტომ არის, რომ ფეხსაცმლის ძირი საშრომი ქაღალდივით ატარებს წყალს, საპირე კი სკდება და იშაშრება.

თუმცაღა ინვალიდისათვის ყველაზე დიდი საწყენი ცუდი ხარისხი რიოდა. რა უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, თუმცა შინ ფეხსაცმლის მთელი კოლექცია აქვს, ის გარეთ ვერაფრით გამოსულა. მას ხომ არ შეუძლია გამოვიდეს და რომელიმე მაღაზიაში თავისთვის ზაფხულში ხამლები იყიდოს, შემოდგომაზე, ზვიმიან და ტალახიან ამინდში — სქელძირიანი ტუფლი, ზამთარში კი — თბილი ფეხსაცმელი. არც აძლევს ყიდვა ხელს, რადგან ჩაცმა არ შეუძლია. ჯერჯერობით მას ის ოცნებაღა დარჩენია, რომ „როდისმე ორთოპედიული ქარხანა აითვისებს, ან იფიქრებს მაინც, რომ ითვისოს საზაფხულო და საზამთრო, სიცხეში და ზვიმაში ჩასაცმელი ორთოპედიული ფეხსაცმლის გამოშვება.

სამინისტროს კოლეგიას ერთხელ და ორჯერ არ უმსჯელია ქარხნის პრობლემებზე, შიუღია სათანადო დადგენილებები, გამოუცია ბრძანებები, გამოუმუშავებია კონკრეტული ღონისძიებები, დაუწესებია მკაცრი ვადები, მიუთითებია, რომ საჭიროა მდგომარეობის გაუმჯობესება, ხარისხის ამაღლება, ყურადღების გამიჩენა... ამას წინათ ქარხნის ხელმძღვანელობაც კი შეეკალეს.

მერე რა გამოვიდა აქედან? შედეგი აშკარაა. მიღწეულია პროგრესი და მერე როგორი! კორიდორში, სადაც წლობით იტანჯებოდნენ ყავარჯნიანი და პროთეზიანი ინვალიდები, როგორც იქნა დადგეს ოციოდე სკამი!!

როგორც ხედავთ, ყველაფერი გაკეთებულია. ყველაზე მეირე რამეაა დარჩენილი — ფეხსაცმლის რეზინია საშოვნელი.

... და ჩვენ მაინც გვჯერა, რომ დადგება დრო, როცა ქარხანაში, ომელიც მხოლოდ თბილისსია კი არა, მთელი რესპუბლიკის ინვალიდებს ემსახურება, მარტო გამძლე ფეხსაცმელს კი არ დაამზადებენ — ზოგისთვის ზონრიანსა და ზოგისთვის გასაყვარეზინიანს, — არამედ ახალი მოდის ლამაზ, მოხერხებულ, ყველა სეზონისთვის გამოსადეგ ფეხსაცმელს.

უფრო მეტიც: ასეთი რწმენა ოცნებისა და მეცნიერული ფანტასტიკის ნაყოფი როდია, ის ავტორისათვის ცნობილ იმ ფაქტებს ემყარება, რომ, მაგალითად, ქალაქ გორაში ახალი მოდელების მსუბუქ და ლამაზ ორთოპედიულ ფეხსაცმელს უშვებენ. ლენინგრადის ორთოპედიული ფეხსაცმლის ფაბრიკაში კი ყოველწლიურად 20 სახის ახალი მოდელი ინერგება.

კარგი იქნებოდა თბილისელები ჩასულიყვნენ ლენინგრადში და ესწავლათ კოლეგებისაგან. იქ ხომ სპეციალისტები უნგრეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდანაც ჩადიან გამოცდილების გადასაღებად. რატომ არ მიდიან თბილისიდან? სირცხვილისა ეშინიათ?

... უჭირთ ინვალიდებს, რომლებსაც კონტრაქტურა და სპეციალური ფეხსაცმლის უქონლობა აწუხებთ. მაგრამ კიდევ უფრო უჭირთ იმ ადამიანებისთვის ურთიერთობა, რომელთაც მარტო კონტრაქტურა კი არა, სრული ატროფია აქვთ სინდისისა და გულისხმიერებისა.

შეიძლება ზოგმა ეჭვი გამოთქვას: ეს ხვედიანი ამბავი ხომ არ დაჩრდილავს დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის მზადების სადღესასწაულო განწყობილებას? მაგრამ აქ ყველაფერი საპროფეზო-ორთოპედიული ქარხნის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მუშაკთა პრაქტიკულ მოქმედებაზეა დამოკიდებული. თუ ისინი საჭირო დასკვნებს გამოიტანენ შექმნილი მდგომარეობიდან და ომის ინვალიდთა საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურების საქმეში ძირფესვიან გარდატეხას მიაღწევენ, ეს ოდნავადაც არ დაჩრდილავს, პირიქით სიხარულს ელფერს შემატებს საზეიმო განწყობილებას. მაგრამ თუ ჯეროვან დასკვნებს ვერ გამოიტანენ?!..

... არა, სჯობს გამოიტანონ ჯეროვანი დასკვნები!

ს. სვერდლინი.



სტ ა ტ ი ს ტ ი კ ა მ ო წ მ ო ბ ს

რ ა ა მ ო კ ლ ე ბ ს ქ ა ლ ი ს ს ი ც ო ც ხ ლ ს ე ს

სტატისტიკა ყოველთვის მოწმობდა, რომ ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები. მაგრამ უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქალთა და მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის სხვაობა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში თანდათან მცირდება. ინგლისელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს ეს 1955-1970 წლების სტატისტიკური მონაცემებით. განსაკუთრებით მკვეთრად ირნს ეს თავი 45-დან 54 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ისეთ ქვეყნებში, როგორიც დანია, ინგლისი და ჰოლანდიაა.

ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ქალთა შორის მოკვდაობის გადიდებას მეცნიერები ხსნიან მთელი რიგი მიზეზებით, მათ შორის თამბაქოს წევით და შემდეგ ფილტვების კიბოს განვითარებით, გზებში ავარიებით, წარმოებაში უბედური შემთხვევებით, აგრეთვე სტრესი—ნერვული გადატვირთვით, რაც გამოწვეულია იმის აუცილებლობით, რომ წარმოებაში მუშაობა შეათავსონ საოჯახო საქმიანობასთან, თანაც ფასების სწრაფი ზრდის პირობებში. („ნოვოე ვრემია“).

ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

16 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“, 10.30 — ფერადი ტელევიზია. „მადვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა“, 12.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — გადაცემა ციკლიდან „გარეშო და ადამიანი“, 13.05 — „საჭადრაკო სკოლა“, 13.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ცხრაკლიტული“ (გამეორებით), 14.40 — „ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „მიშკა, სერიოგა და მე“, 16.25 — ახალი გრამფირფიტები, 16.55 — „გაბედული ფოტომონადირე“, 17.10 — „ჩვენი კინოკალენდარი“, 18.00 — თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან, 20.30 — „დაპირებები ქაღალდზე დარჩა“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — საესტრადო კონცერტი; 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ყვავილი თოვლზე“.

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თეორი კვადრატი“, 19.10 — კონცერტი, 20.05 — დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი — „ადამიანი ხიდზე“.

17 თებერვალი

პირველი პროგრამით

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — მოსწავლეთათვის — „ტყეში ბევრი ზღაპარია“, 18.30 — ფერადი ტელევიზია. „ბურატინოს გამოფენა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — რუსპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.20 — „მატერიალური დაინტერესება — მძლავრი სტიმული“, 19.40 — რ. ლაღიძე. ფრაგმენტები ოპერიდან „ლელა“, 21.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — კინონარკვევი. „სახალხო მხატვარი ეკატერინე ბელოკური“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავის გამო. ქართული მხატვრული ფილმი „ჯვარცმული კუნძული“. დასასრული — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — საქართველოს ისტორია, 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯობა, იამალო!“, 19.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში, 19.50 — კინონარკვევი „ანდრეი პეტროვი“, 20.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფილოსოფიაში, 20.55 — განცხადებები, 21.00 — მხატვრული ფილმი „შელმენკო დენშჩიკი“.

თ ე ა ტ რ ე ბ ი

16 თებერვალი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რომეო და ჯულიეტა (ღღისით და საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბრილობა;** ვასო აბაშიძის სახელობის **მუსიკალური კომედიის — ჯარზე მიდის დედისერთა** (ღღისით), **უვარუვარე თუთაბერი** (საღამოს).

სპ ო რ ტ ი

ტურნირის მეორე დღე

ბუშინ ხპორტის სასახლეში გამოვლინდა თბილისს საერთაშორისო ტურნირის კიდევ ორი გამარჯვებული ჭიდაობა ძიუ-დოში. ქვეყანაშეალო წინაში ჩემპიონი გახდა საერთაშორისო სპორტის ოსტატი მელიქ მუხამეჩინი (მოსკოვი), მეორე იყო მაიკოპელი არ. სპიროვი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. წოკლაური ბრინჯაოს დაიჭერა.

საშუალო წონაში ოქროს მედალი მოიპოვა ახალგაზრდებს შორის ესრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა, თბილისელმა აბდულ ბარგალავამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ძლიერი მეტოქე — იუგოსლაველი სლობოდან კრალეკეიჩი.



სურათზე: გამოდეიქება.

ერთი ეკვსიანი

„სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ის მეოთხე ტურის შედეგები

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 1975 წლის 12 თებერვალს ქალაქ მოსკოვში გამართული „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ის მე-4 ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 5 ათასი მანეთი (92 ბარათი); ოთხი ნომრისა — 94 მანეთი (7.153 ბარათი); სამი ნომრისა — 3 მანეთი (165.273 ბარათი).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი გამოცნობილია ქალაქ მელიტოპოლში. მოგების თანხაა 5 ათასი მანეთი (1 ბარათი); იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხა შეადგენს 2.554 მანეთს (61 ბარათი); ოთხი ნომრისა — 61 მანეთს (3.057 ბარათი); სამი ნომრისა — 3 მანეთს (60.409 ბარათი).

მე-4 ტირაჟის მოგებებს შემნახველი სალაროები გასცემენ 1975 წლის 23 თებერვლიდან 23 მარტამდე ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟი გაიმართება 1975 წლის 19 თებერ